პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
28 მაისი
1939 წ.
№ 120 (5520)
ფასი 10 კაპ.

საინფორმაციო ცნობა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: ა) კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ, ბ) მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ, გ) საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან პარტიული კონტროლის კომისიის შედგენის შესახებ, დ) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა მოიწონა პროექტები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებებისა: ა) კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ და ბ) მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1939 წლის 27 მაისის სხდომის შესახებ

27 მაისს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო.**

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **მ. კურბანოვი** (ტაჯიკეთის სსრ, კულიაბის ოკრუგი), **პ. ნ. პიჩუგინა** (ქ. მოსკოვის, პროლეტარსკის ოკრუგი), **ა. ხ. ფირუზიანი** (სომხეთის სსრ, კიროვაკანის ოკრუგი), **ფ. ვ. შაგიმარდანოვი** (ბაშკირეთის ასსრ, დუვანის ოკრუგი), სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **ი. ა. ბენედიქტოვი**, დეპუტატი **ხ. მ. შარაფეევი** (თათრეთის ასსრ, მენზელინსკის ოკრუგი), **ა. კენჟეაარაევი** (ყაზახეთის სსრ, აქტიუბინსკის ოკრუგი), **ა. ა. კუზნეცოვი** (ლენინგრადის ოლქის, ვოლხოვის ოკრუგი) და სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **მ. გ. პერვუხინი.**

ამით კავშირის საბჭოს მესამე სესიის მესამე სხდომა იხურება.

საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერება

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისათვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი მკაფიოდ მოწმობს გამარჯვებული სოციალიზმის დიადი ქვეყნის ძლიერებას და მისი ხალხის კეთილდღეობას.

ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით იზრდება და მტკიცდება ჩვენი სახელმწიფო, მატულობს ხალხის შემოსავალი, ცხოვრება ჩვენს მიწა-წყალზე დღითი-დღე უფროდაუფრო წარმტაცი ხდება. აგერ უკვე ჩვიდმეტ წელზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირის ხალხები მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთით სარგებლობენ და მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალებს ახმარენ სოციალისტურ მშენებლობას. სოციალისტური ეკონომიკის განუწყვეტელი ზრდა, ორი სტალინური ხუთწლედის ბრწყინვალედ შესრულება, სოციალისტური კულტურის უმაგალითო აყვავება ჩვენს ქვეყანაში — ასეთია უცილობელი ისტორიული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

170 მილიონი საბჭოთა ადამიანის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგანან უძლეველი მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი — მრისხანე ძალა ჩვენი სამშობლოს ყველა მტრისათვის! საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებიც საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას იცავენ, საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს ემსახურებიან. ჩვენი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი არმიითა და ფლოტით და არ იშურებს სახსრებს მათი შემდგომი განუწყვეტელი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფომ თავდაცვის საჭიროებისათვის 1938 წელს 23.151 მილიონი მანეთი დახარჯა. 1939 წელს თავდაცვის საჭიროებისათვის გათვალისწინებულია 40.885 მილიონი მანეთის დახარჯვა.

როდესაც ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ზვერევმა სესიაზე ეს ციფრები გამოაქვეყნა, ამას უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ყველა დამსწრენი დარბაზში მქუხარე, აღფრთოვანებული ტაშით შეეგებნენ.

დეპუტატები თავიანთ სიტყვებში ერთსულოვნად იწონებდნენ 40 მილიარდიან ასიგნობებს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროებისათვის და ამით მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობასა და აზრს გამოხატავდნენ.

დეპუტატმა აზერბაიჯანიდან კულიევმა სთქვა: „...უმაღლესი საბჭოს სესია უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მთავრობის წინადადებას 1939 წელს თავდაცვითი ღონისძიებებისათვის ასიგნობათა შესახებ. ეს ასიგნობანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას მოხმარდება. ისინი მოხმარდებიან ჩვენი შეიარაღებული ძალების ტექნიკური შეჭურვილობის შემდგომ გაძლიერებას იმ ანგარიშით, რომ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ, როდესაც ეს საჭირო იქნება, კიდევ უფრო მეტი ძლიერებით მისცეს ხასანის გაკვეთილები.

ამიტომ, ამხანაგებო, შემომაქვს წინადადება: დამტკიცებულ იქნას თანხა 40.885 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია თავდაცვის ღონისძიებებისათვის".

ამხ. კულიევის სიტყვებმა საყოველთაო ტაში გამოიწვია.

ამ ციფრებს, — 40.885 მილიონ მანეთს, — რომლებიც ცხადჰყოფენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ღრმა სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით ხვდება ყოველი საბჭოთა პატრიოტი. 40 მილიარდი საბჭოთა მანეთი, ეს ნიშნავს — ახალ ზარბაზნებს, ახალ სწრაფმავალ თვითმფრინავებს, ახალ მძლავრ ტანკებს, ახალ სამხედრო გემებს. 40 მილიარდი მანეთი ეს ნიშნავს — სამშობლოს თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარი საბრძოლო საშუალებისა და ყოველგვარი საბრძოლო მასალის მძლავრ ნაკადს.

გვყავს რა მძლავრი წითელი არმია და პირველხარისხოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვუყურებდეთ მომავალს, რადგან ვიცით, რომ ჩვენი გარეშე მტრის ვერავითარი პროვოკაცია ვერ მოგვისწრებს მოუმზადებლებს. ჰყავს რა მძლავრი წითელი არმია და პირველხარისხოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, დიადი საბჭოთა ხალხი დამშვიდებით და მტკიცედ განაგრძობს შეუნელებელ შემოქმედებითს მუშაობას სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, მთელ ძალღონეს ახმარს მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას.

წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩვენი 170 მილიონიანი ხალხის მებრძოლი ავანპოსტებია. სოციალიზმის ქვეყანაში არმია და ხალხი ერთმანეთისაგან განუყოფელია. ეს ერთ მთლიან ერთეულს, ერთიან შენადნობს წარმოადგენს. წითელი არმია, რომელიც საბჭოთა ხალხის საყვარელ ქმნილებას წარმოადგენს, სამშობლოს ინტერესებით ცხოვრობს და მთელ ხალხთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას. საბჭოთა ხალხი თავის საუკეთესო შვილებს ჰგზავნის არმიისა და ფლოტის რიგებში და ავალებს მათ მაღლა ეჭირონ ბრძოლის დროშა, ძალღონის დაუზოგავად ემსახურონ სამშობლოს, ერთგულად იბრძოლონ ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის, ფხიზლად და მამაცად დაიცვან სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრები.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ხალხთა ძმობის არმიას წარმოადგენენ. წითელ არმიაში ბატონობს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება, ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმური სოლიდარობის სულისკვეთება.

ეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს უძლეველ ძლიერებას ანიჭებს.

სამოქალაქო ომის წლებში ნახევრადმშიერმა და ნახევრადშიშველმა წითელმა არმიამ გაანადგურა მაშინდელი სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეიარაღებული ინტერვენტები და თეთრგვარდიელები, გაანადგურა ყველა მტერი, რომლებიც ხელჰყოფდნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას, რევოლუციურ თავისუფლებას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს. წითელმა არმიამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ მას მხარს უჭერდა მთელი მშრომელი ხალხი და წითელ არმიას სათავეში უდგნენ ბოლშევიკები, მას რაზმავდნენ, ზრდიდნენ და აწრთობდნენ რევოლუციის დიდი სტრატეგები — ლენინი და სტალინი.

სამოქალაქო ომის გმირული ტრადიციები ცოცხლობენ და მუდამ იცოცხლებენ ჩვენს წითელ არმიაში, ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტში. მაღალი მორალური ღირსებები, რომლებიც წითელ არმიას ახასიათებს მისი არსებობის პირველივე დღიდან, ამჟამად გამრავლებულია იმ გულმოდგინე აღმზრდელობითი მუშაობით, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწევა, გამრავლებულია ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების მთელი მიმდინარეობით.

არმიის მაღალი მორალური ღირსებანი მრისხანე ძალას წარმოადგენენ. ამ ძალას ერთვის საუცხოო, პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა განკარგულებაშია. ასეთი არმია უძლეველია!

საბჭოთა ავიაციისა და არტილერიის ვოროშილოვურმა ბაზქებმა, რომლებიც ხასანის ტბასთან გაისმა, სიმამაცემ საბჭოთა ქვეითი ჯარისამ, რომელმაც სწრაფი, გამანადგურებელი დარტყმით განდევნა იაპონელი დამპყრობლები, ცხადად დაანახვა მთელს მსოფლიოს წითელი არმიის ძალა და ძლიერება, მისი მზადყოფნა ყოველ წუთში უკუაქციოს მტერი. მაგრამ ის, რაც ხასანის ტბასთან მოხდა, — ეს მხოლოდ „კვირტია"! თუ მტრებმა გაბედეს და ერთხელ კიდევ დაესხნენ თავს საბჭოთა მიწა-წყალს, ისინი „ნაყოფსაც" იგემებენ. წითელი არმია, რომელიც მთელს მძლავრ საბჭოთა ხალხს ეყრდნობა და, რომელიც აღჭურვილია მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი სამხედრო ტექნიკით, გაანადგურებს ყოველ მტერს და ყველა მტრებს, საიდანაც არ უნდა გამოჩნდნენ ისინი.

„ამის თავდებს, რომ მტერი სასტიკად იქნება შემუსრული და მოსპობილი, წარმოადგენს პოლიტიკური და მორალური ერთიანობა ჩვენი წითელი არმიისა მთელ საბჭოთა ხალხთან.

ამის თავდებს წარმოადგენს მარქსისტულ - ლენინური იდეოლოგია, ლენინ-სტალინის პარტიის იდეოლოგია, რითაც ცხოვრობს საბჭოთა სახელმწიფოს არმია. მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მუდამ მზად არიან ამ იდეოლოგიის გულისათვის გასწირონ თავიანთი სიცოცხლე.

ამის თავდებს წარმოადგენს ის, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია არის პირველხარისხოვანი, ყოველ სხვა რომელიმე არმიაზე ტექნიკურად უკეთ შეიარაღებული და ჩინებულად გაწრთვნილი არმია". (ვოროშილოვი).

საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმისათვის გადადებული 40 მილიარდი მრისხანე გაფრთხილებაა სხვისი დოვლათის ყველა მოყვარულთათვის, რომელთაც თვალი უჭირავთ ჩვენს მიწა-წყალზე. მდიდარი საბჭოთა ქვეყანა 40 მილიარდ მანეთს გამოჰყოფს თავდაცვის საჭიროებათათვის, რითაც იგი ახალ განძს ჰმატებს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს, ვინაიდან რაც უფრო ძლიერია ჩვენი არმია, მით უფრო მეტი შანსია იმისა, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა, რომ ფაშისტი აგრესორები ვერ გაჰბედავენ თავს დაესხან ჩვენს სამშობლოს.

საბჭოთა ქვეყნის ბიუჯეტი გამოხატავს სურვილს და ნებისყოფას 170 მილიონიანი საბჭოთა ხალხისას, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი წითელი არმია. სსრ კავშირის თავდაცვისათვის გადადებული 40 მილიარდიანი ასიგნობები საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მუშაობის საიმედო დაცვაა, საიმედო დაცვაა იმ ხალხისა, რომელიც ლენინ-სტალინის დიდი პარტიის წინამძღოლობით აშენებს ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას!

„პრავდის" მოწინავე 27/V.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სესიის სხდომის დღიური

1939 წლის 26 მაისი

ეროვნებათა საბჭოში

26 მაისს საღამოს, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მესამე სესიის მეორე სხდომა.

მთავრობის ლოჟებში ამხანაგების: სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, მიქოიანის, ჟდანოვის, ხრუშჩოვის, მალენკოვის გამოჩენა აღფრთოვანებულ ოვაციას იწვევს დარბაზში. დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. გაისმის მისალმების შეძახილები ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პატივსაცემად.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** სხდომას ხსნის და დღის წესრიგის პირველ საკითხზე თანამომხსენებლისათვის სიტყვას აძლევს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატ **ი. ხ. ხოხლოვს.**

— სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, — აცხადებს დეპუტატი ხოხლოვი, — რომელიც შემოტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე განსახილველად, აგებულია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან სრული შესაბამისობით. ეს ბიუჯეტი ასახავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გიგანტურ განვითარებას, ძლიერებას და სიმდიდრეს.

დეპუტატი ხოხლოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფაშისტური ქვეყნების ბიუჯეტებს აშკარად გამოხატული სამხედრო ხასიათი აქვს. ასეთ პირობებში მიუტევებელი იქნებოდა არ მივველო ყველა შესაძლო ღონისძიება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების გადიდებისათვის.

მქუხარე ტაშით უპასუხებენ დეპუტატები ამხ. ხოხლოვის სიტყვებს:

— დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია სიხარულით მოიწონებს ასიგნობებს, რომლებიც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის!

— სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, — ამბობს დეპუტატი ხოხლოვი, — ასახავს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის უდიდეს ზრდას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარმოდგენილია სესიაზე, გამოხატავს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიად პრინციპებს და უზრუნველჰყოფს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა დარგის შემდგომ ზრდას. მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანად აღებული სახელმწიფო ბიუჯეტი. მომხსენებელს მოჰყავს ციფრები, რომლებიც მოწმობს კულტურის ზრდას მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქმენეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებს უკავიათ, რევოლუციამდე სპეციალური საშუალო სასწავლებლები არ არსებობდა, 1938 წელს კი თურქმენეთში იყო 37 ტექნიკუმი, ყირგიზეთში — 21 და ტაჯიკეთში — 31 ტექნიკუმი. რევოლუციამდე ახლანდელი ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, კაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკათა ტერიტორიაზე არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. შარშან კი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში იყო 23 უმაღლესი სასწავლებელი, აზერბაიჯანისაში — 14, სომხეთისაში — 8, თურქმენეთისაში — 5, უზბეკეთისაში — 29, ტაჯიკეთისაში — 5, კაზახეთისაში — 21 და ყირგიზეთისაში — 4 უმაღლესი სასწავლებელი.

საინტერესო ცნობები მოჰყავს დეპუტატ ხოხლოვს ბაშკირეთის შესახებ, რომელიც რევოლუციამდე წარმოადგენდა მეფის კოლონიას, სადაც გლეხთა სამი მეოთხედი უმიწაწყლო და მცირემიწიანი იყო და სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდა, ახლანდელი ბაშკირეთის ასსრ წლითი-წლობით იზრდება ეკონომიურად და კულტურულად — ნათესი ფართობი აქ რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 78 %-ით გაიზარდა. ათობით კოლმეურნეობა გახდა მილიონერი. რესპუბლიკაში არის 4 უმაღლესი სასწავლებელი და 40 ტექნიკუმი. გამოდის 33 ბაშკირული გაზეთი. მუშაობს 14 თეატრი, 356 კინოდანადგარი, 2.000-მდე მასობრივი ბიბლიოთეკა და 2500 საკლუბო დაწესებულება. 4.588 სკოლაში სწავლობს 604 ათასი კაცი. ბაშკირეთის ასსრ ბიუჯეტი 1939 წლისთვის, 1928-1929 წლების ბიუჯეტთან შედარებით, 19,5-ჯერ გაიზარდა.

დეპუტატი ხოხლოვი აღნიშნავს, რომ ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიას შესაძლოდ მიაჩნია წინადადებით მიმართოს სესიას შეიტანოს ზოგიერთი ცვლილება სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, რომელიც წარმოდგენილია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ.

თანამომხსენებელს წინადადება შეაქვს გადიდებულ იქნას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 574.023 ათასი მანეთით, აქედან ბრუნვის გადასახადის ხაზით — 410.800 ათასი მანეთით. იგი დაწვრილებით ასაბუთებს თავის წინადადებას, გამოსთქვამს რა მოსაზრებას, რომ შემოსავლის გადიდება შეიძლება მიღწეულ იქნას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე, დამატებით მარაგების აღრიცხვით, შინაგანი რესურსების მობილიზაციით, აგრეთვე სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემოსავლის გამოანგარიშების დროს დაშვებულ არასიზუსტეთა გამოსწორების საშუალებით. ამასთანავე, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ხარჯების შემცირება 152.594 ათასი მანეთით.

ამხ. ხოხლოვი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა ბოლშევიკური ბრძოლა შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა წუნით გამოწვეულ დანაკარგებთან ბრძოლას. მაგალითად, მარტო პოდოლსკის ქარხანაში 1938 წელს წუნდებული პროდუქცია უდრიდა 83 ათასი საოჯახო საკერავი მანქანის ღირებულებას.

— ჩვენმა მრეწველობამ მიმდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში მოგვცა 15,3%-ით მეტი საერთო პროდუქცია, ვიდრე 1938 წლის იმავე პერიოდის განმავლობაში. ეს წარმატებები კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რომ ბოლშევიკურად ებრძოლნათ ჩვენს სახალხო მეურნეობაში დანაკარგების აღმოფხვრისათვის.

დეპუტატი ხოხლოვი ყურადღებას აქცევს აგრეთვე საფინანსო დისციპლინის საკითხებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო - სამეურნეო ცხოვრებისათვის და ბიუჯეტის შესრულებისათვის.

— 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება უდიდეს სარგებლობას მოუტანს სოციალისტური მშენებლობის საქმეს, ამხანაგ სტალინის მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე დასმულ იმ ამოცანის განხორციელების საქმეს, რომელიც მოითხოვს ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საბჭოთა ხალხი უეჭველად შეასრულებს ამ ისტორიულ ამოცანასაც. ჩვენ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მივყევართ ჩვენს სახელოვან მებრძოლ კომუნისტურ პარტიას. ჩვენ წინ, კომუნიზმისაკენ მივყევართ რევოლუციის უდიდეს სტრატეგს — ამხანაგ სტალინს!

ამხანაგ სტალინის პატივსაცემად მქუხარე ოვაციით ხვდებიან დეპუტატები თანამომხსენებლის უკანასკნელ სიტყვებს.

იწყება კამათი სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

პირველი სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. ა. ბურმისტენკოს.**

— სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, — ამბობს იგი, — წარმოადგენს შესანიშნავ დოკუმენტს, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის იმ უდიდეს წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რაც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

დეპუტატი ბურმისტენკო დაწვრილებით მოუთხრობს საბჭოთა უკრაინის წარმატებებზე, რომლებმაც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტში. უკრაინის სს რესპუბლიკის მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაპროექტებულია 6.531.201 ათასი მანეთის რაოდენობით. გასულ წელთან შედარებით იგი 12,3 პროცენტით იზრდება.

დეპუტატი ბურმისტენკო სესიას მიმართავს თხოვნით საკავშირო ბიუჯეტით გაითვალისწინოს ზოგიერთი გაუთვალისწინებელი ხარჯები უკრაინის გადაუდებელ საჭიროებათათვის. იგი ითხოვს გათვალისწინებულ იქნას საბიუჯეტო ასიგნობები ახალი ავტოსარემონტო ბაზების შესაქმნელად, საქალაქო ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ახალი გზების მშენებლობისათვის.

დასასრულ დეპუტატი ბურმისტენკო აცხადებს:

— ჩვენი ქვეყნის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც მთავრობამ დასამტკიცებლად წარუდგინა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ეჭვს გარეშეა, ერთსულოვნად მოიწონებს უმაღლესი საბჭო და მთელი საბჭოთა ხალხი. სახელმწიფო ბიუჯეტი მოწმობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის გიგანტური პროგრამის შესახებ იმ შემოქმედებითი მუშაობის უდიდესი გაქანების შესახებ, რომელშიც ჩაბმულია უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის მებრძოლი მილიონობით საბჭოთა პატრიოტი.

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი **ვ. მ. ვანეევი.** მას შემოაქვს წინადადება — მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 1939 წლის ბიუჯეტიდან ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის გაიდოს 40.885 მილიონი მანეთი.

— ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის ამ თანხის გაღება, — ამბობს იგი, — საშუალებას მოგვცემს ჩვენი სამშობლოს დიდი და პატარა მტრებისათვის კიდევ უფრო მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ გადავაქციოთ ყველა საბჭოთა საზღვარი.

დეპუტატ ვანეევს თავის სიტყვაში მოჰყავს ციფრები და ფაქტები, რომელნიც მოწმობენ საბჭოთა ბელორუსიის აყვავებას. რესპუბლიკის ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, 131 მილიონი მანეთით იზრდება. იგი სულ 1297 მილიონ მანეთს შეადგენს. ბელორუსმა ხალხმა შექმნა თავისი კულტურა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური. რესპუბლიკაში არის 7.048 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 1.148 ათასი მოსწავლე. 1914 წელს ბელორუსიაში მუშაობდა სულ 7 ათასი მასწავლებელი, ახლა კი მათი რაოდენობა 32.800 აღწევს. რევოლუციამდე იქ არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. წელს ბელორუსიის სსრ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 17 ათასზე მეტი კაცი.

დეპუტატ ვანეევს წინადადება შეაქვს ბიუჯეტით გათვალისწინებულ იქნას სახსრები რესპუბლიკაში ახლადშექმნილი რაიონებისა და ახლადმოწყობილი სახალხო კომისარიატების საჭიროებათათვის.

შემდეგ გამოსულმა დეპუტატმა **ს. გ. ხოშტარიამ** განაცხადა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა ციფრები და ოდენობა სავსებით უზრუნველჰყოფს მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გრანდიოზული პროგრამის შესრულებას.

— არ არის და არც იქნება მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა ხალხის ტრიუმფალური წინსვლა კომუნიზმისაკენ. — აცხადებს დეპუტატი ხოშტარია. — ამის გარანტიას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება თავისი საყვარელი სამშობლოსადმი. საბჭოთა ხალხი უსათუოდ გაიმარჯვებს, რადგან მას ხელმძღვანელობს დიდი ბელადი, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩვენი მშობლიური, საყვარელი სტალინი.

ამ განცხადებას დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებება.

— ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, ჩვენი პარტიისა და დიდი სტალინის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, — განაგრძობს ხოშტარია, — ოდესღაც ჩამორჩენილი განაპირა მხარეები და მეფის თვითმპყრობელობის კოლონიები საბჭოთა ქვეყნის მოწინავე რესპუბლიკებად გადაიქცნენ.

თავისი აზრის საილუსტრაციოდ დეპუტატ ხოშტარიას მოჰყავს ბრწყინვალე ფაქტები. სტალინური ხუთწლედების პროგრამის შესრულების შედეგად საქართველოში შექმნილია საკუთარი მრეწველობა: ელექტრომრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ფეროშენადნობია, სამთამადნო, ნავთის მრეწველობა, აბრეშუმსაქსოვი, საფეიქრო და ჩაის მრეწველობა. მარგანეცისა და ნახშირის ამოღება ოთხჯერ და უფრო მეტად გადიდდა. სოციალისტური საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე ფართოდ დაინერგა სოფლის მეურნეობის ახალი კულტურები: ჩაი, ციტრუსები, ეთერზეთოვანი კულტურები, თამბაქო, საქართველოში არსებობს 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 22 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. შექმნილია 26 ახალი თეატრი, 235 კინოდანადგარი, 265 კლუბი, 418 მასობრივი ბიბლიოთეკა. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია დასამტკიცებლად, ერთიხუთად სჭარბობს მეორე ხუთწლედის პირველი წლის ბიუჯეტს.

დეპუტატი ხოშტარია სესიის ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტებს, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებში არასწორად იყენებენ სახსრებს. მასობრივ კვალიფიკაციათა კადრების მომზადების გეგმა სსრ კავშირის მიწსახკომის სისტემაში არ სრულდება. მიმდინარე წლის მოსავლის აღების კამპანიისათვის მომზადებულ უნდა იქნას 53.500 კომბაინერი და მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირი. მაგრამ სახალხო კომისარიატი ყურადღებას არ აქცევს ამ კადრების მომზადებას.

— მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის ბიუჯეტი, რომელიც სახკომსაბჭომ წარმოუდგინა სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად, — ლაპარაკობს დეპუტატი **რ. კ. იბრაგიმოვი,** — წარმოადგენს სტალინური ეპოქის ერთერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს; იგი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური სიმძლავრის არაჩვეულებრივ ზრდას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას. მილიარდობით მანეთები გადაიქცევა ახალ პირველხარისხოვან ფაბრიკებად და ქარხნებად, მტს-ებად და საბჭოთა მეურნეობებად. სკოლებად და საავადმყოფოებად, მძლავრ სახაზო გემებად, მძლავრ ტანკებად, ახალ შესანიშნავ თვითმფრინავებად.

თავის შემდგომ სიტყვებს დეპუტატი იბრაგიმოვი უძღვნის ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის წარმატებებს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ბაშკირეთის ბიუჯეტი 391-ჯერ გადიდდა. ზოგიერთი კოლმეურნეობის ყოველწლიური შემოსავალი მილიონ მანეთს სჭარბობს. ბაშკირეთის სამი ათასი კოლმეურნეობა თავის მიღწევებს გვიჩვენებს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. წარმატებით ვითარდება „მეორე ბაქო" — ნავთის მრეწველობის ეს უდიდესი ახალი ცენტრი იშიმბაევოსა და ტუიმაზის ნავთის სარეწაოები ახლავე აძლევენ ჩვენს ქვეყანას 1 მილიონზე მეტ ტონა ნავთს.

დეპუტატი **გ. ა. დინმუხამეტოვი** ლაპარაკობს:

— საბჭოთა ფინანსების განმტკიცების შესახებ პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით, საბჭოთა ხალხმა საკუთარი ძალებითა და საშუალებებით აიყვანა ჩვენი ქვეყნის საფინანსო მეურნეობა ისეთ სიმაღლეზე, რომლის შესახებაც არცერთ თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეეძლო ოცნებობა და ვერც გაბედავს იოცნებოს.

თავის აზრს დეპუტატი დინმუხამეტოვი ასაბუთებს ცნობებით მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტების შესახებ. ინგლისის ბიუჯეტის დეფიციტი 1937-1938 საბიუჯეტო წელს 140,7 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ამ უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ფაშისტური იტალიის ბიუჯეტიც ყოველწლიურად დიდი დეფიციტით სდგება.

სრულიად სხვა სურათია საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირე რესპუბლიკებში. საბჭოთა თათრეთის სახელმწიფო ბიუჯეტი ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში 19-ჯერ გაიზარდა. ახლა იგი 385,3 მილიონ მანეთს უდრის. ყოფილ ყაზანის გუბერნიაში არავითარი მსხვილი მრეწველობა არ არსებობდა. მთელი მიწის 40 პროცენტს მემამულეები ჰფლობდნენ. წერა-კითხვის მცოდნეობა 17 პროცენტს არ აღემატებოდა. ცარიზმმა წაართვა თათრეთის ხალხს მთელი მისი უფლებები და თვით სამშობლო ენის უფლებაც კი. ახლა თათრეთს ვეღარ იცნობთ. სტალინური ხუთწლედების მანძილზე მრეწველობამ რესპუბლიკის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა. აგებულია საკავშირო მნიშვნელობის ათობით საწარმოები. სოციალისტური სექტორის ნათესი ფართობი შეადგენს 99,5%-ს. ამჟამად გამოდის 145 გაზეთი და 12 ჟურნალი.

შემდეგ დეპუტატმა დინმუხამეტოვმა რამდენიმე შენიშვნა გააკეთა სსრ კავშირის ფინსახკომის მუშაობის შესახებ. ამ სახალხო კომისარიატის აპარატი ყოველთვის როდი ეკიდება ყურადღებით შემოსავლის ყველა წყაროს გამოვლინებას, სჩადის შეცდომებს.

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტს მიუძღვნა თავისი სიტყვა დეპუტატმა **ნ. პ. გუსევმა.**

ყირგიზეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სწრაფი ზრდა მკაფიო გამოხატულებას პოულობს რესპუბლიკის ბიუჯეტში. ეს ბიუჯეტი, რომელიც მეორე ხუთწლედის პირველ წელს 51,6 მილიონ მანეთს შეადგენდა, მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს 268 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. 1939 წელს ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტი დაპროექტებულია 385 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საერთო პროდუქციის მოცულობა აქ 177%-ით გაიზარდა. მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვმა 61%-ით იმატა. საშუალო წლიური ხელფასი 114%-ით გაიზარდა. შექმნილია ქვანახშირის მრეწველობა — შუააზიის სათბობის ბაზა, აგებულია ტყვია-თუთიის მაღაროები, ხორცის კომბინატი, ბამბის საწმენდი ქარხნები, სამკერვალო ფაბრიკები, შაქრის ქარხნები, სამშენებლო მასალის ქარხნები.

— თუ წინათ ყირგიზი მოსაწყენ, ერთფეროვან სიმღერებს მღეროდა უუფლებობაზე, უსამართლობაზე, — ამბობს დეპუტატი გუსევი, — ახლა თავისუფალი ყირგიზი ხალხი მხნე, ბედნიერების სიმღერებს მღერის კულტურულ, შეძლებულ ცხოვრებაზე, მღერის სიმღერებს ბელადის — ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულზე. ამხ. გუსევი მოაგონებს დამსწრეთ, რომ მოსკოვში გაიხსნა ყირგიზული ხელოვნების დეკადა და დეპუტატებს შეუძლიათ დარწმუნდნენ, თუ რა საუცხოოდ ჰყვავის ყირგიზული კულტურა.

დასასრულ დეპუტატი გუსევი ეხება ფინანსიური მუშაობის ზოგიერთ საკითხს. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ გადასახადის შესახებ არსებული კანონი გავრცელდეს ერთპიროვნულ მეურნეობებზე, რომელთაც ცხენები ჰყავთ, აგრეთვე იმ ერთპიროვნულ მეურნეობებზე, რომელთაც აქლემები ჰყავთ.

დეპუტატი გუსევი აღნიშნავს, რომ ყირგიზეთის ტერიტორიაზე არის 30 მტს-ი, მიწსახკომის ორი დიდი საავტომობილო რაზმი, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და პამირის გზის სამმართველოს ავტოტრანსპორტი. ბევრი ავტომობილი აქვთ აგრეთვე კოლმეურნეობებს. ამიტომ დეპუტატი გუსევი ითხოვს გათვალისწინებულ იქნას 1939 წელს ყირგიზეთში ავტოსატრაქტორო სარემონტო ქარხნის აგება, აგრეთვე გადაისინჯოს ყირგიზეთის ფრუნზე-ოშის დიდი ტრაქტის გასაყვანად გათვალისწინებული ასიგნობები და დამატებით გადიდეს ეს ასიგნობები 10 მილიონი მანეთით.

დეპუტატ გუსევის სიტყვის დამთავრების შემდეგ სხდომა იხურება.

(საკდესი).

ქრონიკა

რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ამა წლის 26 მაისიდან გაუქმებულია ხაბაროვსკის მხარის ხაბაროვსკის ოლქი. ის რაიონები, რომლებიც ხაბაროვსკის ოლქში შედიოდა სამხარეო ორგანიზაციებს დაექვემდებარა. (საკდესი).

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

კამათი სსრ კავშირის 1939 წ. სახელმწიფო ბიუჯეტზე და სსრ კავშირის 1937 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ ს. გ. ხოშტარიას სიტყვა ეროვნებათა საბჭოს 1939 წ. 26 მაისის სხდომაზე

ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! ორი თვის წინათ დაამთავრა თავისი ისტორიული მუშაობა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობამ. ამ ყრილობაზე ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა შეაჯამა სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებანი სსრ კავშირში, რომელნიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, და დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

მოვისმინეთ რა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ზვერევის მოხსენება, უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი აგებულია იმ ამოცანების სავსებით შესაბამისად, რომლებიც დაგვისახეს დიდმა სტალინმა და ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი ისაზღვრება 155.607 მილიონი მანეთის რაოდენობით; ზრდა 1938 წელთან შედარებით, საშემოსავლო ნაწილში შეადგენს 22 პროცენტს და საგასავლო ნაწილში—25 პროცენტს. შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან თვალსაჩინოდ იზრდება მიმდინარე წლის შემოსავლის სხვა წყაროებთან შედარებით და აგრეთვე თვალსაჩინოდ მატულობს 1938 წლის ბიუჯეტის შესაბამის შემოსავალთან შეფარდებით. ეს შემოსავალი, რომელიც 1938 წელს 91 მილიარდ მანეთს უდრიდა, მიმდინარე წელს 110 მილიარდ მანეთამდე იზრდება. სახალხო მეურნეობისათვის განზრახულია დაიხარჯოს 59.310 მილიონი მანეთი,—14,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1938 წელს. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის დასახულია დაიხარჯოს 38.564 მილიონი მანეთი, ანუ 9,2 პროცენტით მეტი იმ თანხაზე, რაც დახარჯულია 1938 წელს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე ხარჯების ხვედრითი წონა ბიუჯეტში შეადგენს 54,6 პროცენტს. ასიგნობათა ეს რაოდენობა სავსებით უზრუნველჰყოფს მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გრანდიოზული პროგრამის შესრულებას.

განსაკუთრებული კმაყოფილებითა და სრული მოწონებით შეხვდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ცნობას იმის შესახებ, რომ თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატისათვის გათვალისწინებულია ასიგნობანი 40.885 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს ასიგნობანი კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითს ძლიერებას.

სოციალიზმის ქვეყნის სახელმწიფო მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, და ვერცერთი მტერი ვერ შესძლებს დაუსჯელად შემოჰყოს თავისი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში. ხასანის ტბასთან მომხდარი ამბების დროს იაპონელმა სამურაებმა თავის საკუთარ ზურგზე გამოსცადეს ჩვენი უძლეველი, მძლავრი მუშურ-გლეხური წითელი არმიის უდიდესი ძალა და ძლიერება. კარგად ახსოვდეთ ხასანის ეს გაკვეთილი აგრესიულ სახელმწიფოებს, მეორე იმპერიალისტური ომის გამჩაღებლებს.

არ არის და არც იქნება მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა ხალხის ტრიუმფალური სვლა წინ, კომუნიზმისაკენ. დიადი საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, სამმაგი დარტყმით უპასუხებს ომის გამჩაღებელთა დარტყმას და დაამსხვრევს ყოველგვარ მტერს, რა მხრიდანაც არ უნდა სცადოს მან ფეხი შემოსდგას საბჭოთა ქვეყნის წმინდათა-წმინდა მიწაწყალზე. ამის გარანტიას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ჩვენი სამშობლოსადმი. ამის გარანტიას წარმოადგენს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობა. საბჭოთა ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებს, რადგან მას ხელმძღვანელობს დიდი ბელადი, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩვენი მშობლიური და საყვარელი სტალინი. **(ტაში).**

მე ვფიქრობ, რომ გამოვთქვამ სოციალიზმის ქვეყნის ყველა ხალხის აზრს, თუ განვაცხადებ, რომ ჩვენ მთლიანად და სავსებით ვიწონებთ და ვიღებთ საბჭოთა მთავრობის წინადადებას თავდაცვითი ღონისძიებებისათვის 40.885 მილიონი მანეთის გაღების შესახებ. **(ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის ერთიან ბიუჯეტში წლითიწლობით იზრდება მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, ჩვენი პარტიისა და დიდი სტალინის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, ყოფილი ჩამორჩენილი განაპირა ქვეყნები და მეფის თვითმპყრობელობის კოლონიები საბჭოთა ქვეყნის მოწინავე რესპუბლიკებად გადაიქცნენ. ბიუჯეტის პროექტით, რომელიც ამ სესიაზე იხილება, გათვალისწინებულია ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ზრდა.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები 1939 წელს, 1938 წელთან შედარებით, საშუალოდ 12,4 პროცენტით იზრდება; ამასთან ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში ბიუჯეტის ზრდა კიდევ უფრო მაღალ პროცენტს შეადგენს. ასე, მაგალითად, თურქმენეთის სსრ ბიუჯეტი 1939 წელს იზრდება 22,4 პროცენტით, კაზახეთის სსრ ბიუჯეტი 20,1 პროცენტით, ყირგიზეთის სსრ ბიუჯეტი თითქმის 13 პროცენტით, უზბეკეთის სსრ ბიუჯეტი — 13,4 პროცენტით.

საქართველოს სსრ ბიუჯეტის მაგალითით შეიძლება დემონსტრირებულ იქნას ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გენერალური ხაზის გამარჯვება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს არ ჰქონია თავისი მრეწველობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თბილისის რკინიგზის სახელოსნოებსა და რამდენიმე ნახევრადკუსტარულ საწარმოს. ამჟამად, სტალინური ხუთწლედების პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად, საქართველოში შექმნილია საკუთარი მრეწველობა — ელექტრომრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ფეროშენადნობთა მრეწველობა, სამთამადნო, ნავთის მრეწველობა, აბრეშუმსაქსოვი, საფეიქრო, ჩაის მრეწველობა და სხვ. მრეწველობის მარგანეცისა და ქვანახშირის დარგები რეკონსტრუირებულია. მარგანეცისა და ქვანახშირის ამოღება გადიდებულია ოთხჯერ და კიდევ მეტად.

ძირიანად არის გარდაქმნილი საქართველოს სოფლის მეურნეობა. საქართველოს სსრ გადაიქცა ძვირფას ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურათა პროდუქტების მწარმოებელ რესპუბლიკად. სოციალისტური საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებში ფართოდ არის დანერგილი სოფლის მეურნეობის ახალი კულტურები: ჩაი, ციტრუსები, ეთეროვან-ზეთოვანი კულტურები, თვალსაჩინოდ არის გადიდებული თამბაქოს, ვენახისა და ბაღების ფართობები.

საქართველოს სამეურნეო გარდაქმნებს თან ახლდა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის სწრაფი ზრდა. საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკა გახდა. დაწყებითი და საშუალო სკოლების მოწაფეთა კონტინგენტი თითქმის ერთი-ხუთად გაიზარდა. ამჟამად ამ სკოლებში 700 ათასზე მეტი მოწაფე სწავლობს.

თუ წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე, საქართველოში არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა, ახლა საქართველოში არსებობს 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 22 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ხუთი წლის განმავლობაში, ე. ი. 1933 წლიდან 1938 წლამდე, საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს დაახლოვებით 15 ათასი სპეციალისტი უმაღლესი კვალიფიკაციისა: ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, პედაგოგები და სხვ.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველოში შექმნილია 26 ახალი თეატრი, 235 ხმოვანი კინოდანადგარი, 265 კლუბი, 418 მასობრივი ბიბლიოთეკა.

საბჭოთა საქართველოს ყველა ეს წარმატებანი და მიღწევანი უზრუნველყოფილი იყო საქართველოს სსრ ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდით. წინადადებაა შემოტანილი, რათა ამ სესიაზე საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნას 1.145 მილიონი მანეთის რაოდენობით. მეორე ხუთწლედის პირველი წლის ბიუჯეტთან შედარებით, იგი თითქმის ერთი-ხუთად იზრდება. 1932 წელს საქართველოს სსრ ბიუჯეტი უდრიდა 240,8 მილიონ მანეთს, ხოლო 1939 წელს მარტო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის დასახულია დაიხარჯოს 813 მილიონ მანეთზე მეტი, ე. ი. სამჯერ და კიდევ მეტი, ვიდრე 1932 წლის მთელი ბიუჯეტი იყო.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის გათვალისწინებული ხარჯების ხვედრითი წონა 1939 წლის ბიუჯეტში 71,1 პროცენტს შეადგენს. როგორც ხედავთ, ბიუჯეტის ძირითად ხარჯებს შეადგენს ისეთი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კულტურული მშენებლობის შემდგომ ზრდასთან და ხალხთა მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან.

ამხანაგო დეპუტატებო! მე წინადადება შემომაქვს: სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებებით, დამტკიცდეს.

რამდენიმე შენიშვნა, რომელიც დაკავშირებულია 1939 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან.

ჩვენი სოფლის მეურნეობა მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი მეურნეობაა. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მიწათმოქმედება აღჭურვილია ყველაზე მოწინავე ტექნიკით. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებში მუშაობს 483,5 ათასი ტრაქტორი, 153,5 ათასი კომბაინი და რამდენიმე ასეული ათასი სხვა რთული და ნახევრადრთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა. სტალინური ხუთწლედების მანძილზე გიგანტურად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის საერთო პროდუქცია. მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმით დასახულია სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომი ტექნიკური შეიარაღება და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციის შემდგომი ზრდა. აქედან გასაგებია დანახარჯების გადიდება საკავშირო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის ხაზით 23,6 პროცენტით, ხოლო აბსოლუტური ციფრებით — 1938 წლის 11.548 მილიონი მანეთიდან 14.270 მილიონ მანეთამდე 1939 წელს.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ სამიწათმოქმედო სისტემაში სახსრების გამოყენება და საფინანსო მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული. ამხ. ზვერევმა სესიაზე გაკეთებულ თავის მოხსენებაში მოიყვანა გადახარჯვის ციფრები და გაღებული სახელმწიფო სახსრების არასწორად გამოყენების ფაქტები. პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათაგან გამომდინარე ამოცანები და აგრეთვე 1939 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა უფრო ეფექტიურად გამოყენების უზრუნველყოფის საჭიროება მოითხოვს მუშაობის ძირიანად გარდაქმნას, საფინანსო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას და სამიწათმოქმედო სისტემაში საფინანსო დისციპლინის აუცილებლივ განმტკიცებას.

მე მინდა ყურადღება მივაქციო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დაფინანსებას. სსრ კავშირის მთავრობის ცნობილი დადგენილებანი, მიღებული ჯერ კიდევ გასულ წელს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის 13 იანვრის დადგენილებანი წესრიგს ამყარებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საფინანსო მეურნეობაში. ამ გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელება უსათუოდ განამტკიცებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფინანსიურ ბაზას და ამით უზრუნველჰყოფს მათს ნორმალურ მუშაობას.

მაგრამ ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის დაფინანსების საკითხში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

გასული წლის თებერვალში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით შემოღებულია ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და დაფინანსების წესი. ამ დადგენილების თანახმად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში იქმნება ფულადი ფონდი მანქანების რემონტისათვის მტს-ების მიერ გაწეული მუშაობის თვითეული ანგარიშის ანარიცხის გზით. ამასთან ანარიცხების ოდენობა დიფერენცირებულია ზონების მიხედვით. გასული წლის მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების დანაწილება ზონების მიხედვით და ანარიცხების ნორმათა დიფერენციაცია წარმოებულია კავშირის ცალკე რაიონების კონკრეტულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. ამის შედეგად ზოგიერთ ადგილას შექმნილი ფულადი ფონდები რემონტისათვის არასაკმარისი აღმოჩნდა, ხოლო სხვა ადგილებში —გადაჭარბებული. რემონტთაშორისი ვადები დაწესებული საბჭოთა კავშირისათვის საშუალო და დიფერენცირებული არ არის ჩვენი ქვეყნის ცალკეული რაიონების მიხედვით.

მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამუშაოს და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს განსახილველად წარუდგინოს საკითხი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 11 თებერვლის დადგენილებაში ზოგიერთი ცვლილებისა და შესწორების შეტანის შესახებ. კერძოდ, მე საჭიროდ მიმაჩნია რემონტთაშორისი ვადების დიფერენციაცია ჩვენი ქვეყნის ცალკე რაიონებისა და ტრაქტორთა მარკების მიხედვით. საჭიროა აგრეთვე დაზუსტებულ იქნას რემონტისათვის ანარიცხების ნორმები და შეფარდებულ იქნას ისინი სამანქანო-სატრაქტორო პარკის რემონტისათვის დაწესებულ საპრეისკურანტო ფასებთან.

ამ ღონისძიებათა გატარება თვალსაჩინოდ შეამცირებს გადახარჯვას, რომელიც ამჟამად არის საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რაიონის ცალკეულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე აღნიშნული იქნა სუსტი მუშაობა მასობრივ კვალიფიკაციათა კადრების მომზადების მხრივ სსრ კავშირის მიწსახკომის სისტემაში, ამ საქმეს გაუმჯობესება არც ახლა ემჩნევა.

კადრების მომზადების გეგმა წლითი-წლობით არ სრულდება.

1939 წლის მოსავლის აღების კამპანიისათვის მომზადებულ უნდა იქნას მტს-ების კომბაინერები და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები 53,5 ათასი კაცის რაოდენობით. სოფლისათვის კადრების მომზადების აღრიცხვა და ანგარიშიანობა იმდენად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, რომ სსრ კავშირის მიწსახკომს არც ახლა მოეპოვება ზუსტი ცნობები ამ კადრების მომზადების მიმდინარეობის შესახებ. მიწსახკომში არსებულ ცნობათა მიხედვით, მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის მზადდებოდა მხოლოდ 46 ათასი კაცი, ნაცვლად 53,5 ათასი კაცისა, რაც საჭირო იყო.

კადრების მომზადების საქმეში ერთიანი ხელმძღვანელობა არ არსებობს: იგი დაქსაქსულია სახალხო კომისარიატის ყველა სამმართველოთა შორის. საბჭოთა კავშირის მთელი რიგი მხარეები და ოლქები ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილნი მოსავლის აღების კამპანიისათვის ძირითადი კადრებით — კომბაინერებით, მემანქანეებითა და მესაჭეებით.

სსრ კავშირის მიწსახკომმა ანგარიში უნდა გაუწიოს ამას და სათანადო წესრიგი დაამყაროს მასობრივ კვალიფიკაციათა კადრების მომზადების საქმეში.

მე ვფიქრობ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამაც პრაქტიკაში უნდა შემოიღოს სამიწათმოქმედო სისტემაში მასობრივ კვალიფიკაციათა კადრების მომზადების კონტინგენტის დაგეგმვა და განსაზღვრა. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია ამ საქმეს ჯერ კიდევ არ შესდგომია.

უკანასკნელი შენიშვნა — მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ. ამჟამად ადგილები ამ საკითხში ხელმძღვანელობენ 1926-1927 წლებში მიღებული დებულებებით და საბჭოთა კავშირის მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებებით, რომლებიც სცვლიან ან ავსებენ ამ დებულებათა ცალკეულ მუხლებს. სტალინური კონსტიტუცია ზუსტად საზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებებს. ამავე დროს კი არსებული კანონდებულება ნაწილობრივ შეუთანხმებელია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონთან და არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს და ბიუჯეტების ურთიერთდამოკიდებულებას სახალხო მეურნეობაში. საჭიროა შეიქმნას ერთიანი დებულება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უნდა დაეჩქარებინა სტალინური კონსტიტუციიდან გამომდინარე დებულების პროექტის დამუშავება და იგი განსახილველად წარედგინა საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წლის ბიუჯეტი, რომელიც უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე მტკიცდება, არის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდის ბიუჯეტი, ხალხთა მასების კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ბიუჯეტი, საბჭოების ქვეყნის კიდევ უფრო განმტკიცებული თავდაცვითი ძლიერების ბიუჯეტი. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ბიუჯეტი შესრულებული იქნება და ამით უზრუნველყოფილი იქნება მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება..

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ბელადს—დიდ სტალინს! **(მქუხარე ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სხდომების შესახებ

დღეს, 28 მაისს, დილის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

დღეს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება კავშირის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

ყირგიზული ხელოვნების დეკადის გახსნა

საოპერო სპექტაკლის „აიჩურეკის“ დიდი წარმატება

26 მაისს სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალში საოპერო სპექტაკლ „აიჩურეკით“ („მთვაროვანი მზეთუნახავი“) დაიწყო ყირგიზული ხელოვნების დეკადა.

ეს ოპერა შექმნეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა: ვ. ა. ვლასოვმა, ვ. გ. ფერემ და აბდილას მალდიბაევმა ლიბრეტოს ავტორების ჯოომარტ ბოკონბაევის, კუბანიჩბეკ მალიკოვისა და იუსუფ ტურუსბეკოვის შემოქმედებითი თანამშრომლობით. კომპოზიტორებისა და მწერლების ერთად მუშაობის შედეგად მიღებული იქნა პირველი ნაციონალური ყირგიზული ოპერა შესანიშნავი ხალხური ეპოსის „მანასის“ მოტივებზე.

ბრწყინვალე სპექტაკლმა მაყურებლები გააცნო ნამდვილ ყირგიზულ ფოლკლორს, რაც საფუძვლად უდევს ოპერას, საუცხოო მელოდიებს, რომელთაგანაც წარმოიშვა ტკბილხმიანი სიმფონიური მუსიკა.

ავტორებმა და ამსრულებლებმა შესძლეს ეგრძნობინებინათ მაყურებელთათვის მთელი სურნელება ხალხური თქმულებისა მანასის შვილის — ლეგენდარული ბატირ სემეტეისა და მისი საცოლის — მზეთუნახავი აიჩურეკის შესახებ, ოპერის გმირები ასახავენ ყირგიზი ხალხის საუკეთესო ზრახვებს ბედნიერი საამური ცხოვრების შესახებ, შეუპოვრად ებრძვიან თავიანთი სამშობლოს მტრებს და იმარჯვებენ ამ ბრძოლაში. როდესაც გამარჯვება მოპოვებულია, როდესაც ეკლით მოფენილი გზა განვლილია და ერთმანეთის მოსიყვარულე განთქმული ბატირი და ქალიშვილი სამუდამოდ უერთდებიან ერთმანეთს, მათს სიხარულს მთელი ხალხი იზიარებს.

ღრმა, დაუვიწყარი სცენიური სახეები შექმნეს მთავარი როლების შემსრულებლებმა: ყირგიზეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ქალმა საირა კიიზბაევამ (აიჩურეკი), ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ აბდილას მალდიბაევმა (კულჩორო), ყირგიზეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ქალმა ანვარ კუტუბაევამ (კალიიმან — აიჩურეკის და), მსახიობმა ქალმა ა. ი. გერშტეინმა (ჩაჩიკეი).

სპექტაკლის დამდგმელმა — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ამანკულ კუტუბაევმა, თანადამდგმელმა და ბალეტმაისტერმა— ნ. ს. ხოლფინმა, რეჟისორმა — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ი. ვასილიევმა, დირიჟორმა — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ვ. ცელიკოვსკიმ და ხორმაისტერმა პ. ტ. მერკულოვმა მთელ [illegible] დიდი შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვეს და შექმნეს პირველი ყირგიზული საოპერო სპექტაკლი. ამ ოპერის წარმატებას დიდად უწყობს ხელს დადგმის ლამაზად გაფორმება, რომელიც განახორციელა მხატვარმა ი. ზ. შტოფერმა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცეკვამ, რომელშიაც ფართოდ იქნა გამოყენებული ხალხური თამაშის ელემენტები.

ყირგიზეთის ხელოვნების დეკადის გახსნას დაესწრნენ: ამხანაგი **სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, მალენკოვი.**

სპექტაკლ „აიჩურეკს“ დიდი წარმატება ჰქონდა. მაყურებლებმა, რომელთა შორისაც იყვნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები და მწერლები, არაერთხელ დააჯილდოვეს მქუხარე ტაშით დადგმის მონაწილენი და ავტორები. გულთბილად მიესალმნენ ისინი ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის კოლექტივს — ყირგიზი ხალხის ახალგაზრდა ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენლებს. (საკდესი).

მე-2 სრულიად-საკავშირო ფიზკულტურული პარადის მონაწილეთა დაჯილდოება

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაადგინა დააჯილდოოს საუკეთესო სასპორტო კოლექტივები და ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მეორე სრულიად-საკავშირო ფიზკულტურულ პარადში.

საუკეთესო სამწყობრო მომზადებისა და კოლონების მხატვრული გაფორმებისათვის გარდამავალი წითელი დროშითა და სიგელით დაჯილდოებულია ლენინის ორდენოსანი სასპორტო საზოგადოება „დინამო“. საუკეთესო სამწყობრო მომზადებისათვის პირველი ჯილდო მიეცა „დინამოს“ XI ასეულს.

ჯილდო საუკეთესო საბავშვო კოლონისათვის მოიპოვა სტალინის სახელობის რაიონმა.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ფიზიკური აღზრდის ინსპექცია პარადზე საუკეთესო მხატვრული გამოსვლისათვის დაჯილდოებულია დროშითა და კომიტეტის სიგელით. დროშა გადაეცა აგრეთვე სახალხო განათლების თბილისის განყოფილებას.

კომიტეტის სიგელები მიენიჭათ სასპორტო საზოგადოება „სპარტაკს“, „მედიკოს“ „ლოკომოტივს“, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, საქართველოს ჯანსახკომისა და მიწსახკომის სასპორტო კოლექტივებს და ფიზკულტურის ინსტიტუტსა და ტექნიკუმს.

პარადის წარმატებით ჩატარებისათვის მადლობა გამოეცხადა მეთაურთა მთელს შემადგენლობას. საუკეთესო სასპორტო საზოგადოებებისა და კოლექტივების ხელმძღვანელები დაჯილდოებული არიან ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით.

პარადის მონაწილე დელეგაციებიდან პირველი ადგილი მიენიჭათ აჭარის სპორტსმენებს, მეორე ადგილი — ქუთაისის სპორტსმენებს, მესამე ადგილი — აფხაზეთისა და მეოთხე — სამხრეთ-ოსეთის სპორტსმენებს. (საქდესი).

მოსკოვში დასადგმელი მონუმენტური ძეგლების დაპროექტება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი შეუდგა მზადებას, იმისთვის, რომ მოსკოვში აგოს ფ. ე. ძერჟინსკის, ს. მ. კიროვის, სერგო ორჯონიკიძისა და ვ. ვ. კუიბიშევის მონუმენტური ძეგლები. ამ ძეგლების პროექტების შედგენა დაევალა გამოჩენილ მოქანდაკეებს.

ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლის (ძერჟინსკის მოედანზე) დაპროექტება დაევალათ მოქანდაკეებს ვ. ი. მუხინას, ს. დ. ლებედევას და ს. დ. მერკუროვს.

კიროვის კარების რაიონში განზრახულია ს. მ. კიროვის ძეგლის აგება, რომლის პროექტებს დაამუშავებენ ზ. მ. ვილენსკი, ბ. ნ. ივანოვი, ვ. ბ. პინჩუკი და სხვ.

სერგო ორჯონიკიძისა და ვ. ვ. კუიბიშევის ძეგლები შეადგენენ ერთიან ანსამბლს. ორივე ძეგლი აიგება ვარვარის სკვერში. პირველი ნოგინის მოედნის მხარეზე, ხოლო მეორე — პოლიტექნიკური მუზეუმის შენობის პირდაპირ. სერგო ორჯონიკიძის ძეგლის დაპროექტება დავალებული აქვს ვ. ი. ინგალს, ვ. ი. ბოგოლიუბოვს, დ. პ. შვარცს, ზ. ი. ავგურს; ვ. ვ. კუიბიშევის ძეგლის დაპროექტება — მოქანდაკეებს გ. ვ. ნეროდას, ს. ს. ალიოშინს, ა. ვ. გრუბეს და სხვ. მოქანდაკეებთან ერთად იმუშავებენ არქიტექტორები, რომელთაც ხელახლა უნდა დაჰგეგმონ სკვერი, დაამუშაონ მონუმენტების არქიტექტურული ნაწილი, გააფორმონ სკვერის შესასვლელები. მთელმა ანსამბლმა უნდა ასახოს იდეები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, რომლის დარგში მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით მუშაობდნენ სერგო ორჯონიკიძე და ვ. ვ. კუიბიშევი.

პროექტების დახურული კონკურსით დაკვეთის გარდა ხელოვნების საქმეთა კომიტეტი აწყობს ღია კონკურსს ამ მონუმენტური ძეგლების დაპროექტებისათვის. ღია კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია. (საკდესი).

ჩქარი მშენებლობა რკინიგზებზე

„ა. კ. გზამშენში“ თათბირი გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობაზე ჩქარი მეთოდების დანერგვის შესახებ.

თათბირმა მთელი რიგი ობიექტები გამოჰყო, სადაც უახლოეს დროში მშენებლობის ჩქარი მეთოდები იქნება შემოღებული. გადაწყდა ჩქარი მეთოდებით იქნას აგებული საბავშვო ბაგა ხაშურის სადგურში, სკოლა 270 კაცისათვის სანაინის სადგურში, საცხოვრებელი სახლი ზაჰესის სადგურში, ორი ხიდი და სხვ. ჩქარი მშენებლობის მეთოდების გამოყენება განზრახულია აგრეთვე ამჟამად მშენებლობის პროცესში მყოფი გორი — სტალინირის რკინიგზის მთელ რიგ ობიექტებში. (საქდესი).

ჰანრიხ ჰაინე ქართულ ენაზე

პოეტმა ხარიტონ ვარდოშვილმა სთარგმნა ქართულ ენაზე ჰანრიხ ჰაინე და მით საპატიო ადგილი დაიკავა ქართული თარგმნილი სიტყვის ოსტატთა შორის.

ჰაინეს პოეზია დიდიხანია გამხდარა ღრმა კრიტიკული შესწავლის ობიექტად. საყოველთაო ინტერესი ამ დიდი მწერლისადმი არ ცხრება. საბჭოთა ქვეყანამ ალჯზნებული კოცონიდან გამოიტაცა ეს დიდებული პოეტი და მისი სახელი უკვდავების შარავანდედით შემოსა.

ჰაინეს თარგმნა არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით გვეგონება მისი ლექსების კითხვის დროს. ჰაინეს მთარგმნელი ვიდრე თარგმნას შეუდგებოდეს მოვალეა ყოველი ლექსი სათუთად შეისწავლოს, ვინაიდან თვითეულ ლექსს თავისი ისტორია აქვს, თვითეული სტრიქონი ღრმა აზრს იტევს.

მთარგმნელი მარტო მექანიკურად გადმოღებული სიტყვების განმლაგებელი კი არა, პოეტის სულის გამხსნელიც უნდა იყოს. უბრალო გადმომღერება კი არაა საჭირო ჰაინეს ლექსებისა ჩვენს ენაზე, არამედ ჩაწვდომა მისი შემოქმედების სიღრმეში, მთელი მისი სიდიადისა და სილამაზის გამომჟღავნება. მთარგმნელმა უნდა დაანახვოს მკითხველს სარკაზმის, იხუნჯობისა და ჰუმორის ის ძალა, რომელიც ამ შესანიშნავი პოეტის შემოქმედებას თან ახლავს.

ჰ. ჰაინეს პოეზია უაღრესად მრავალფეროვანია. ერთია ჰაინე—ტრიბუნი, თვით დევნაშიც კი მდევნელი აზროვნების ჯალათებისა, კარლ მარქსის გვერდით შეუპოვარი მებრძოლი; სხვაა ჰაინე ნაძალადევად გაქრისტიანებული, ყოველნაირი რელიგიის მტერი, და სულ სხვა, როდესაც, თვითონ პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი „ულმობელმა სკლეროზმა სპირიტუალისტურ ჩონჩხად აქცია და სიცოცხლითვე აგრძნობინა ხრწნის საშინელება“. თქმა არ უნდა, ამ წამების დროს მისი ნაზი ჰანგები „კაცობრიობის ნათელ გაზაფხულისადმი“ უკვე ის აღარ იქნებოდა, რაც მისი საყვირი, რომელსაც განგაში გაჰქონდა მის სიჭაბუკეში. მთარგმნელს მართებს ყველაზე ღრმად ჩასწვდეს როგორც მისი მზიური პოეზიის შედევრებს, ისე სამგლოვიარო მელოდიებს.

უნდა ითქვას, რომ ხარიტონ ვარდოშვილმა ყოველივე გაითვალისწინა და შედეგად კეთილსინდისიერად შეასრულა ჰაინეს ლექსების თარგმნა. მუშაობას განსაკუთრებით ართულებდა ის გარემოება, რომ მან ჰაინეს მშობლიური ენა არ იცოდა და უხდებოდა უცხო ენების მცოდნეთა მოშველება. მაგრამ რაზომ ზუსტი თარგმანიც არ უნდა მიაწოდოს მთარგმნელს უცხო ენის მცოდნე დამხმარემ, მეტად ძნელია მთელი სურნელის გადმოღება ჰაინეს თვალწარმტაცი ყვავილნარებისა. მიუხედავად ამისა, მთარგმნელს ყველაფერი უღონია, რომ ეს სიძნელეც დაეძლია.

ხ. ვარდოშვილი წინასიტყვაობაში სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ჰაინეს შემოყვანა სრული სახით საქართველოში ჯერ კიდევ დიდ შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს“.

მთარგმნელს თავი აურიდებია ზოგიერთ ლექსში ჯვარედინი რითმის დაცვისათვის, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეხსნას ასეთი მოთხოვნა მთარგმნელობას. თუ საკითხი ასე დავსვით, მაშინ შემოქმედებასთან კი აღარ გვექნება საქმე, არამედ მექანიკურ გადმომღერებასთან. ყველა ენას აქვს თავისებური კანონები, სათარგმნი ობიექტის მხატვრული სახეების ამავე მეტრში ჩასმა მეტად რთული საქმეა. როგორ გნებავთ უცხო ენებზე სიტყვასიტყვით სთარგმნოთ რუსთაველის ფეირვერკები: „მზე არა მზეობს მზიურად, დარი არ დარობს ჩვენთვისა“... ანდა „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“... გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი ფსალმუნები თუ ქართული ენის რიტმიულობისა და მელოდიურობის შედევრებია, მხოლოდ იმიტომ, რომ მთარგმნელი სთარგმნ ობიექტს სიღრმეში ჩასწვდა და ქართული ენის ბუნებას დაუკავშირა და არა ებრაულს ან ბერძნულ ენებს, რომლებიდანაც ის სთარგმნიდა. ასევე ითქმის „ვისრამიანის“ უცნობ მთარგმნელზე, ივ. მაჩაბელზე და სხვ., რომელთაც ესოდენ გაამდიდრეს ჩვენი თარგმნილი ლიტერატურის საგანძური.

ხ. ვარდოშვილის თარგმნის ოსტატობის სანიმუშოდ მოგვყავს „სიზმრები“ ციკლიდან „ჭაბუკური ვნებანი“.

„მესიზმრა ნაზი სიყვარულის ვნებანი
მწველი,
და დალალები ყვავილებით
დამშვენებული,
უტკბესი ბაგე, ხშირად მწარე სიტყვათა
მთქმელი,
და მწუხარებით დაბინდული ჰანგი
ვნებული.
მაგრამ განიბნა ტკბილ სიზმართა
ბურუსი მკრთალი,
თან წარიტაცა სანეტარო ტურფა
ჟამნება,
და დამრჩა ჰანგი სავსე ვნების
მგზნებარე ალით,
სათუთ რითმებში ჩაქსოვილი
აღფრთოვანება.
ობოლო ჰანგო, შენც გაშალე ფრთები
გრძნეული,
და შორს გაფრინდი, გადალახე მთები
კლდოვანი,
და თუ იხილო სადმე ტურფა
სიზმარეული,
მას გადაეცი ჩემი ოხვრა ჰაეროვანი“....

თავიდან ბოლომდე ეს ლექსი გაორიგინალებულია. თუმცა მასში დაცული არ არის ჰაინეს მელოდიის მეტრი, მაგრამ მისი სულის განწყობილება სიზუსტითაა ამუსიკებული ქართული ბგერებით. აქ შეიძლება მთარგმნელს შეცოდებად ჩაუვალონ პირველი ტაეპის მეორე სტრიქონში ყვავილთა სახელების განზოგადება, მაშინ როდესაც ჰაინეს კონკრეტულად აქვს მოცემული მათი სახელები „მირტით და რეზედათი შემკული კულულები“, მაგრამ განა ამით დაშავდა რამე?.

ჩვენ შეგვეძლო ჰაინეს შედევრები ქართული კრებულიდან მრავალი მოგვეყვანა, მაგრამ ამისათვის დაგვჭირდებოდა თითქმის ყველა ლექსების გადმოწერა და შემოწმება.

რა თქმა უნდა, კრებული ვერ ასცდებოდა ზოგიერთ ნაკლსაც, სადაც მთარგმნელი ვერ იცავს თანაბრად აღგზნებულ ქნედითს ტემპერამენტს, მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა. ამის სანიმუშოდ მოვიყვანოთ ციკლიდან „ლირიული ინტერმეცოს“ ერთი მშვენიერი რაკურსი:

„მოაყრდენ მტკიცედ ჩემს ლოყას-ლოყა,
ერთად გვდიოდეს ცრემლები ცხელი,
მომეკარ მკერდით მხურვალე მკერდზე,
დე, მათ ანთებდეს ცეცხლი დამწველი.
როცა ამ დიდ ცეცხლს შეუერთდება
ჩვენი ცრემლები, ვით ნიაღვარი.
მე ვნებიანად ყელს მოგეჭდობი,
დე ვიყვეთ ტრფობის სევდისგან
მკვდარი“. (გვ. 60).

ამ ლექსის თარგმნაში ერთგვარი დაძაბულობა იგრძნობა. ორივე ტაეპის მეოთხე სტრიქონებში ჩართული „დე“ ჰკვეთს ყურს და არც რითმების ვირტუოზობით გვახარებს. იგივე ლექსი ილია ჭავჭავაძესაც აქვს ნათარგმნი. ინტერესის გასაღრმავებლად მოვიყვანოთ ეს თარგმანიც:

„ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა,
რომ ცრემლნი ჩვენი ერთად შეერთდნენ,
გულით მოეკარ ჩემს გულს მხურვალსა,
რომ ერთის ცეცხლით ორნივ აენთნენ.
და რომ იმ ცეცხლსა ძნელ განშორების
დაესხმის ღვარი მდუღარე ცრემლის,
გადაგეხვევი რა ორივ ხელით,
მოვკვდებით ტანჯვით და ნეტარებით“.

თუმცა ილიას აშკარად ეტყობა რუსული თარგმანის გავლენა, განსაკუთრებით მეორე ტაეპში, სადაც „ძნელ განშორების“ ცეცხლზეა ლაპარაკი, მაგრამ დიდი პოეტის ინტუიციამ გადალახა რუსი მთარგმნელის ჯებირები და ჰაინეს სრულყოფილი სულიერი განწყობილებით აიგზნო.

სამაგიეროდ ამას ვერ ვიტყვით „ფეიქრებზე“, სადაც ვარდოშვილის თარგმანი უთუოდ ჩრდილავს იროდიონ ევდოშვილის ამავე ლექსის თარგმანს.

ო, გერმანიავ, კუბოსათვის გიქსოვთ
სუდარას,
შიგ ვაქსოვთ სამმაგ წყევლა-კრულვას
და რისხვას მზარავს“...

ასეთივე სიძლიერით არის თარგმნილი ჰაინეს დაბრუნება გერმანიაში, როცა რეაქცია განართხული ეგდო და მიწაზე უმწეოდ ფართხალებდა.

„დავადგით ფეხი გერმანულ მიწას,
ძარღვებში სისხლი აჩქროლდა მარად,
მე, გოლიათი, შევეხე დედას
და იშვა ჩემში ახალი ძალა“...

ჰაინეს ლექსთა კრებული მეტად სათუთადაა „ფედერაციის“ მიერ გამოცემული. კრებულს წინ უძღვის კ. გამსახურდიას მოკლე წერილი ჰაინეზე.

მისი ნაკლია მხოლოდ ის, რომ რჩეული ლექსების გარეთ დარჩენილია მრავალი რჩეული და სათუთი ლექსი. განსაკუთრებით ეს ითქმის ციკლის „ჩრდილოეთის ზღვაზე“ შესახებ, რომლის არცერთი ნიმუში არაა მასში მოყვანილი, მაშინ როდესაც ეს ციკლი შეიცავს ჰაინეს შემოქმედების ბრწყინვალე შედევრებს.

დ. კასრაძე

ანტირელიგიური ლექციები სვანეთში

25 მაისი, (სპეც. კორ.) საგაზაფხულო რელიგიური დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით რაიონში ტარდება ანტირელიგიური ლექციები და საუბრები. პირველი ლექცია ჩატარდა სოფელ ლენჯერში 24 მაისს, მას 145 კაცი დაესწრო მათ შორის 55 ქალი. ლექცია რომელიც ჩაატარა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. გელეშვილმა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ლექტორს მრავალი შეკითხვა მისცეს. დამსწრეებს განსაკუთრებით აინტერესებდათ დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის, პლანეტების მოძრაობის, საეკლესიო კულტის წარმოშობის მიზეზები და სხვ.

ასეთივე ლექციები ჩატარდება ბეჩოსა და ლატალში. ანტირელიგიურ ფრონტზე სოფლად ადგილობრივი ინტელიგენციისა და კომკავშირის მუშაობა სუსტია. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად, გადაახალისა „მუკის" რაისაბჭო, რომელსაც დაევალა სანიმუშოდ მოაწყოს ანტირელიგიური პროპაგანდა განსაკუთრებით ჩამორჩენილ სოფლებში.

არ. კოქილაშვილი

კოლოფ თესლზე საშუალოდ 75 კილოგრამი პარკი

ყვარელი, 26 მაისი. ყვარლის რაიონის მეაბრეშუმეებმა ფეფენა შავგულიძემ, თიკო ბუჯიაშვილმა, ვერა მეტრეველმა, ქეთო წიწრიაშვილმა, ფეფენა ხარბაშვილმა და ნინო მირზიკაშვილმა, რომლებიც აბრეშუმის ჭიას ქისტაურელ სტახანოველ მეაბრეშუმეთა მეთოდით ჰკვებავდნენ, უზრუნველჰყვეს მოსავლის მიღება მეთექვსმეტე — მეჩვიდმეტე დღეზე და 25 მაისს სახელმწიფოს ჩააბარეს თვითეულ კოლოფ თესლზე საშუალოდ 75 კილოგრამი პარკი.

ლასხიშვილი
რაიაბრეშუმის გამგე

აჭარაში ჩაის კრეფა ჩამორჩენილია

(ბათუმი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

წელს აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის საუკეთესო მოსავალია. გასულ წელთან შედარებით ერთი-ორად და ზოგან კიდევ უფრო მეტი ფოთოლია შემოსული.

მაგრამ ყველგან ერთნაირი წარმატებით როდი იბრძვიან უხვი მოსავლის აღებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა ჯერ კიდევ 25 მარტს გააფრთხილა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ივ. თოხაძე, რომ გადამჭრელი ზომები მიეღო ჩაის კრეფის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად — მოემარაგებინა საჭირო ინვენტარი, შეექმნა სათანადო პირობები მუშაობისათვის და სხვ. მაგრამ ამხ. თოხაძემ ეს მითითება დაივიწყა და თვითკმაყოფილებას მიეცა. კრეფის დაწყების პირველ დღეებშივე გამოირკვა, რომ საბჭოთა მეურნეობა სათანადოდ მომზადებული არ იყო მოსავლის ასაღებად—აკლდა და ახლაც აკლია მუშა-ხელი, მოუგვარებელი აქვს მუშაობის პირობები, არ ჰყოფნის ინვენტარი და სხვ. ამის შედეგია, რომ 25 მაისისათვის, ნაცვლად 462 ტონისა, მოკრეფილი იყო 262,2 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი—გეგმის 56,7 პროცენტი. პლანტაციებში ფოთოლი მოუკრეფავი რჩება და უხეშდება.

ჩაის კრეფის მხრივ არც ბათუმის რაიონშია კარგი მდგომარეობა. 25 მაისისათვის თვიური გეგმა 79,5 პროცენტით იყო შესრულებული. კერძოდ სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი—ხ. იორდანიდი) კრეფა ნელი ტემპით მიმდინარეობს, ადგილი აქვს დანაკარგებს, ფოთლის დატოვებას და გაუხეშებას. ახალშენის საბჭოთა მეურნეობაშიაც სუსტად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. აგვიანებენ ჩაის კრეფას და ფოთოლი იღუპება.

ჩაის კრეფაში ჩამორჩენილია ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაც (დირექტორი—მ. ნარსია). 25 მაისისათვის აღნიშნულ მეურნეობას მოკრეფილი ჰქონდა 256,5 ტონა ფოთოლი, რაც მაისის გეგმის მხოლოდ 69 პროცენტს უდრის.

ჩაის კრეფის მხრივ ჩამორჩენაა მთელ რიგ კოლმეურნეობებშიც. სოფ. აჭის კოლმეურნეობას კრეფის გეგმა 24 მაისისათვის შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 24 პროცენტით, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას—25-ით, მარქსის სახელობისას—29-ით, ხოლო ხუცუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას — 39 პროცენტით. მთლიანად ქობულეთის რაიონში 25 მაისისათვის მოკრეფილი ჩაის ფოთოლი გეგმის მხოლოდ 65 პროცენტს უდრიდა.

ამ უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ სულ აჭარაში 25 მაისისათვის, ნაცვლად 2.205 ტონისა, მოკრეფილი იყო 1.501 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი—მაისის გეგმის 68,5 პროცენტი.

მ. თევზაძე

მტკიცე, შეგნებული საბრძოლო დისციპლინისათვის თავდაცვა-ავიაქიმში

თბილისის თავდაცვა-ავიაქიმელების გამოხმაურება საბჭოთა კავშირის გმირების მოწოდებაზე

26 მაისს გაზეთებში მოთავსებულმა წერილმა, რომელსაც ხელს აწერდნენ საბჭოთა კავშირის გმირები—პოლკოვნიკი **ა. ლიაპიდევსკი**, ბრიგადის მეთაური **ბ. ტურჟანსკი**, პოლკოვნიკი **ი. დორონინი**, დივიზიის მეთაური **ს. დანილინი**, პოლკოვნიკი **გ. ბაიდუკოვი** და სხვები, მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია თბილისის თავდაცვა - ავიაქიმელთა მასებში.

საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში იმავე დღეს მოიწვიეს კრება და დაამუშავეს აღნიშნული წერილი. ამავე დროს თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ დაამუშავა კონკრეტული ღონისძიებანი თავდაცვა-ავიაქიმის ყველა რგოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკაში არსებული აეროკლუბებიდან მიღებულია ცნობები, რომ იქ შეუდგნენ საბჭოთა კავშირის გმირების აღნიშნული წერილის დამუშავებას მასობრივ კრებებსა და სახელდახელო მიტინგებზე. ასეთი სახელდახელო მიტინგები უკვე ჩატარდა თბილისის, ქუთაისის და მთელ რიგ სხვა აეროკლუბებში.

ხალხმრავალი მიტინგი თბილისის აეროკლუბში

26 მაისს საღამოს თბილისის **ლავრენტი ბერიას** სახელობის აეროკლუბში საბჭოთა კავშირის გმირების წერილის განსახილველად შესდგა მფრინავთა, ტექნიკოსთა. მეთაურთა და კურსანტთა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ თვითმფრინავთა რგოლის მეთაური მფრინავი ნ. კოვალენკო, კურსანტები — გ. ხარაძე, ცალქალამანიძე, კიკნაძე, გლუშეცკი, აეროკლუბის კომისარი პახლევანიანი, მინასოვი, აეროკლუბის უფროსი კ. ფრუიძე და სხვ.

მათ აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის გმირების—ამხ. ლიაპიდევსკის, ტურჟანსკის, დორონინის, დანილინის და სხვათა წერილში მოყვანილი ფაქტები სავსებით შეეფერება სინამდვილეს და რომ დადგა დრო, როცა თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციებმა, პირველ რიგში კი აეროკლუბებმა გარდაჰქმნან მუშაობა, რათა ღირსეულად შეასრულონ პარტიისა და ხელისუფლების მიერ თავდაცვა-ავიაქიმის წინაშე დასმული ამოცანები.

— ჩვენს აეროკლუბში,—ამბობდნენ ორატორები, — ადგილი აქვს საბრძოლო დისციპლინის სისუსტეს და ზოგი მუშაკის თავაშვებულებას. ეს იმიტომ, რომ ჩვენთან ხშირად ივიწყებენ აეროკლუბის მიზნებსა და ამოცანებს, რომ დაუნდობლად არ ებრძვიან უდისციპლინობას, უნიათობას და თავაშვებულებას.

ამის საილუსტრაციოდ ორატორებს მოჰყავდათ მაგალითებიც:

საპარაშუტო სპორტის ინსტრუქტორს ამხ. ლევიცკის, იმის გამო, რომ ის თვითმფრინავი, რომლითაც იგი უნდა აფრენილიყო, სათანადოდ მომზადებული არ იყო, მოუხდა იძულებითი დაშვება. თვითმფრინავის მომსახურე ტექნიკოსი ამხ. კრიუტჩენკო იყო ამის მიზეზი, რადგან მან უდისციპლინობა გამოიჩინა.

ამასწინათ, თავდაცვა - ავიაქიმის № აეროდრომზე ინსტრუქტორ ქიტიაშვილის დაუდევრობისა და დაუკვირებლობის გამო, მოტორის ამუშავებისას უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ინსტრუქტორმა - მფრინავმა ჩარკვიანმა, დაარღვია რა საფრენოსნო წესი, მოახდინა შეუმოწმებელი მანქანით გაფრენა. საპარაშუტო სადგურის უფროსმა ამხ. ერისთავმა აეროკლუბის უფროსის მიმართ გამოიჩინა უპატივცემულობა, რითაც მან დაარღვია დისციპლინა და ცუდი მაგალითი მისცა სხვებს. ასეთი მაგალითები ბლომად მოიყვანეს ორატორებმა.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

— მივესალმებით რა საბჭოთა კავშირის გმირების ამ საჭირო და დროულ გამოსვლას მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე, თბილისის აეროკლუბის მეთაურთა და კურსანტთა შემადგენლობა მტკიცე დაპირებას ვიძლევით, რომ უახლოეს დროშივე გამოვასწორებთ მდგომარეობას, განვამტკიცებთ საბრძოლო დისციპლინას, აღმოვფხვრით თავაშვებულებას, უნიათობას და უთაურობას ჩვენს მუშაობაში და მივაღწევთ თავდაცვა-ავიაქიმის ყველა რგოლის მუშაობის გაუმჯობესებას ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების შესაფერისად. ვიძლევით მტკიცე დაპირებას, რომ აღვზრდით ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებულ, დიადი საბჭოთა სამშობლოს და ჩვენი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** ერთგულ, ბოლომდე თავდადებულ მფრინავებს, იმდენს, რამდენსაც მოგვთხოვს ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ღვიძლი წითელი არმია.

მფრინავთა და ავიატექნიკოსთა კრება

გუშინ, 27 მაისს, თბილისში შესდგა თავდაცვა - ავიაქიმის ხაზით მომუშავე მფრინავთა და ავია-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელზედაც დამუშავებულ იქნა საკითხი თავდაცვა - ავიაქიმის მუშაობის გაუმჯობესებისა, საბრძოლო დისციპლინის განმტკიცებისა და წითელი არმიისათვის საჭირო კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ. კრებაზე განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის გმირების წერილი.

ამ წერილის გარჩევაში მონაწილეობა მიიღეს საავიაციო რგოლის მეთაურმა ბ. ევლანოვმა, ინსტრუქტორმა მფრინავებმა — ნ. გარიბოვმა, მ. ნანუაშვილმა, ქიტიაშვილმა, ავიატექნიკოსმა დიდაროვმა და სხვ.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ დროა ბოლო მოეღოს თავდაცვა-ავიაქიმის აეროდრომებზე და აეროკლუბებში დამკვიდრებულ ძველსა და არაჯანსაღ ტრადიციებს — დისციპლინის სისუსტეს, თავაშვებულებას და დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევებს. თვითმფრინავთა რაზმის მეთაურმა ამხ. პ. ეპიშევმა აღნიშნა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის მთელი საზოგადოებრიობა უნდა დაირაზმოს საბჭოთა კავშირის გმირების ამ მოწოდების შესასრულებლად.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით მომუშავე მფრინავები და ავიატექნიკოსები სიტყვას იძლევიან, რომ უახლოეს დროშივე მიაღწევენ მუშაობის გაჯანსაღებას და სანიმუშო საბრძოლო დისციპლინის დამყარებას ყველა აეროდრომსა, სახელოსნოსა და აეროკლუბებში.

სნაიპერების სკოლის უფროსი ამხ. **თუხარელი** 26 კომისართა სახელობის რაიონის წვევამდელებს უხსნის დაზგის ტყვიამფრქვევის შემადგენელ ნაწილებს.
ფოტო **რ. აკოფოვისა**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

ლექტორთა თათბირი

26 მაისს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში შესდგა თბილისის კომიტეტთან არსებული საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექტორთა ჯგუფის თათბირი რაიკომისა და პარტკაბინეტების მუშაკებთან ერთად. თათბირის მიზანი იყო მოეხდინა იმ ძვირფასი გამოცდილების განზოგადება და ურთიერთ გაზიარება, რომელიც დააგროვეს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექტორებმა მუშაობის პროცესში.

თავიანთი მუშაობის გამოცდილება თათბირს გაუზიარეს ს. გეგიამ, ა. ქუთელიამ, ბ. ლუდვიგოვმა, დ. მშვენიერაძემ, მ. კანტერმა, ხ. გულონიანმა, ვ. კასატკინმა, გ. ეორჟიკაშვილმა, ე. ჯორჯაძემ.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ იმ დიდ ინტერესს, რომელსაც თბილისის მშრომელები იჩენენ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისადმი. ამასთან ერთად ამხანაგები მიუთითებდნენ, რომ საჭიროა ლექციისათვის შერჩეულ იქნას აუდიტორიის ერთნაირი შემადგენლობა. პარტორგანიზაციები ადგილებზე სათანადოდ არ ეწევიან ლექციების პოპულარიზაციას.

თათბირზე გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე ისეთი პრაქტიკა, როდესაც განუსაზღვრელი დრო ეთმობა პარტიის ისტორიის პირველი-მეორე თავის შესწავლას. ლექციებიც უმთავრესად ამ თემის იქით არ მიდის, ხოლო ჩვენი პარტიის ოქტომბრის შემდგომ პერიოდზე ლექციები არ ტარდება. ჯეროვნად არ არის დამუშავებული აგრეთვე ამა თუ იმ თემისათვის საათების რაოდენობის გამოყოფის საკითხი. მაგალითად, სრულიად არ არის საკმარისი ლენინის წიგნზე—„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლექციის წასაკითხად ორი საათი, როგორც ეს დაწესებულია. ადგილებზე მეორეხარისხოვან მნიშვნელობას აძლევენ ლექციების მომზადების საქმეს. თათბირზე დიდი ადგილი დაეთმო ლექციების ხარისხის საკითხს. როგორ გავხადოთ ლექცია მიმზიდველი და ღრმა შინაარსიანი? ამ საკითხზე ლაპარაკობდა თითქმის ყველა ლექტორი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ა. ჯაფარიძემ.

პატარა ფელეტონი

როგორ გავამართლოთ დავითი

(ღია ბარათი თბილისის რაიპროკურორს ამხ. თეთრაშვილს)

ამხანაგო პროკურორო, როგორც გვატყობინებენ, ჩვენს რედაქციაში შემოსული სიგნალისა და მისი შემოწმების საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ბიუროს დაუდგენია დავითის მცხეთის საბჭოს ტერიტორიული პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნობიდან განთავისუფლება და მისი საქმე პროკურატურისათვის გადაუცია. გვატყობინებენ აგრეთვე, რომ ამ საქმისათვის თქვენ მოგიკიდნიათ ხელი, მაგრამ თურმე ბრალდებულის ძმა-ბიჭები ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ პასუხისმგებლობიდან დააძვრინონ დავითი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. ამ შემთხვევაში მათი მიზანია დავითის გამართლება, რაშიაც ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი „სამსახური" გავუწიოთ, რამდენადაც ვიცით, სად რა ჩაუდენია დავითს.

პირველი, რაც მათ უნდა მიიღონ მხედველობაში,—ეს ის არის, რომ დავითს ავტორიტეტი აქვს დაცემული მცხეთის მოსახლეობაში.

მართალია, დავითი გვარად ხოხობაშვილია, მაგრამ მათ მფარველებს შეუძლიათ იგი მონათლონ დავით „აღმაშენებლად". მართალია, მან მცხეთის სანაოსნო სადგური დაანგრია, მაგრამ საკუთარ სახლს ხომ აშენებს!

ყოველ შემთხვევაში, ხოხობაშვილადაც რომ დასტოვონ, მაინც შეუძლიათ ის ისტორიულ პიროვნებად მონათლონ, რამდენადაც, როგორც ისტორიული ლეგენდა ღაღადებს, ხოხობი რომ არ ყოფილიყო, თბილისი არ იქნებოდა. შეუძლიათ მოიშველიონ „ქართლის ცხოვრება", მოიგონონ ვახტანგ გორგასლანის სანადიროდ წასვლა: მისი მიმინო რომ ხოხობს გამოედევნა, როგორ ნახა გორგასლანმა თავისი მიმინო ხოხობთან ერთად ცხელ წყალში ჩავარდნილი.

დავით ხოხობაშვილიც ხომ ხშირად უნახავთ ტლაპოში ღვინით გალეშილი, რომ კოტრიალობდა... და თუ ეს ბრალდებად აქვს დავითს, მათ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ გორგასლანის ხოხობის ზნე აქვს თანდაყოლილი-თქო.

რაც შეეხება, დავით ხოხობაშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებას იმის შესახებ, რომ, როგორც მცხეთის სანაოსნო სადგურის დირექტორმა, მან მტკვარში დააცურა სადგურის ვრცელი ბაქანი და სიმამრის მიხა კოშორიძის და ი. გიგაურის მონაწილეობით გაჰყიდა საშენ მასალად,—შეუძლიათ ეს დამსახურებად ჩაუთვალონ დავითს, როგორც „აღმაშენებელს", რადგან მან წყლიდან ხმელეთზე ამოიტანა ძვირფასი საშენი მასალა და მით ხელი შეუწყო აღმშენებლობას ქ. მცხეთაში. მცურავებსა და მობანავეებს რაღ უნდათ ბაქანი! თუ ცურვა იციან, ნაპირიდანაც გადახტებიან, თუ არ იციან და წყალში რაღად მიძვრებიან?

ხოლო 1600 მანეთი რომ „შეახვილიფა" დავითმა მცხეთის ძველი წყალსადენის მილების გამოცვლის სამუშაოებს ჩატარებისათვის, მაშინ როდესაც ეს სამუშაოები ნატახტრის მუშებმა და მცხეთის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სრულიად უსასყიდლოდ შეასრულეს,—დამცველებს შეუძლიათ არგუმენტად მოიყვანონ შემდეგი: ეს თანხა რომ მუშებზე განაწილებულიყო ცოტ-ცოტა შეხვდებოდათ, ამიტომ დავითმა, როგორც ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანმა დაადგინა: ეს თანხა მისცემოდა ერთ პიროვნებას და ეს ერთი პიროვნება შორს რომ არ ეძებნა, თვითონ დავითი ახლოს იყო და მან ჩაიდო ჯიბეში. მით უფრო, რომ ის ყოველდღე მაღალხარისხოვან პაპიროსს „რეკორდს" ეწევა და ზედმეტი ხარჯები აქვს.

რაც შეეხება 140 მანეთის ყალბი საბუთით გამოტანას ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტიდან, ან კიდევ მოწაფეების მიერ საღამო-წარმოდგენებით შეგროვილი 300 მანეთის მითვისებას, ეს „ბუჩულებია" და შეუძლიათ არც კი „ჩააგდონ ჩოთქში".

ასე და ამრიგად გამართლდება დავითი, თუ ვინმემ ქვას ფეხი არ წამოსდო.

გერმან შუბიძე.

ჩაის კრეფის გეგმა შესრულებულია

წალენჯიხა, 26 მაისი. წალენჯიხის რაიონმა 25 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის მაისის გეგმა. უნდა მოკრეფილიყო 351.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მოკრეფილია 384.558 კილოგრამი — გეგმის 109,6 პროცენტი. აქედან კოლმეურნეობებში მოკრეფილია 276.961 კილოგრამი—გეგმის 113 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობებში კი — 107.657 კილოგრამი—106,5 პროცენტი.

ჩაის კრეფა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი **ნაჭყებია.**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ჯოჯუა.**

ზ. ჩხუბიანიშვილი
საქ. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი

საქართველოს სატყეო მრეწველობის მუშაკთა ამოცანები

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიულ XVIII ყრილობაზე მშრომელი კაცობრიობის დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა**, შეაჯამა რა სოციალიზმის გამარჯვებათა შედეგები, უაღრესი გარკვეულობით დაგვისახა კომუნიზმისაკენ წინსვლის ნათელი, ბრწყინვალე გზა. მთელი ხალხი, მთელი ასსამოცდაათ მილიონიანი მოსახლეობა ჩვენი დიდი ქვეყნისა, საბჭოთა კავშირისა, უნახავი აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით შეხვდა დიდი **სტალინის** მითითებებს. საბჭოთა ხალხმა გამოამჟღავნა თავისი მზადყოფნა უდრეკლად იბრძოლოს ბელადის ბრძნული მითითებების შესასრულებლად, კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. მასების ამ ერთსულოვანმა მისწრაფებამ გამოხატულება ჰპოვა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, შრომითი ენტუზიაზმის ახალ და ძლიერ აზვირთებაში.

მესამე სტალინური ხუთწლედის დიად ამოცანათა შესრულებაში სატყეო მრეწველობას განსაკუთრებით დიდი როლი აქვს მიკუთვნებული. კერძოდ, საქართველოს სატყეო მრეწველობამ, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის სატყეო მრეწველობის სისტემაში, უნდა უზრუნველჰყოს მაღალხარისხოვანი ხე-ტყით ჩვენი საავიაციო და თავდაცვითი მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, საავტომობილო ქარხნები, რკინიგზის ტრანსპორტი, საფეიქრო მრეწველობა, ფეხსაცმლის ფაბრიკები და ამავე დროს უნდა მიაწოდოს მაღალხარისხოვანი ფანერი მთელ რიგ დიდსა და საპასუხისმგებლო მშენებლობებს (საბჭოების სასახლე, მეტრომშენი და სხვ.). ჩვენმა სატყეო მრეწველობამ ქვეყანას უხვად უნდა მისცეს ავეჯი, სათხილამურო და ხე-ტყისაგან დამზადებული სხვა პროდუქცია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახალხო მეურნეობის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ტყეს საპატიო ადგილი უკავია. საქართველოს სატყეო მრეწველობის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ხე-ტყის მრეწველობამ უკეთესად იმუშაოს და უფრო სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის კულტურულ - ყოფაცხოვრებითი მოთხოვნილებები.

ხალხის მტრები, პირსისხლიანი ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტები, რომელნიც შემოპარულნი იყვნენ ჩვენი სატყეო მრეწველობის მუშაკთა კოლექტივში, ყოველმხრივ ცდილობდნენ სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის — ტყეების გაჩანაგებას, ისინი ხელს უწყობდნენ სატყეო მეურნეობის განადგურებას და ხელს უშლიდნენ ტყეების რაციონალური მეთოდებით დამუშავებას.

ხალხის მტრები გამომჟღავნებულ და მხილებულ იქნენ. მათი ძირითადი ბუდეები უკვე განადგურებულია. ახლა ჩვენი სატყეო მრეწველობა უკეთ მუშაობს, იგი უკვე დამდგარია საბოლოო გაჯანსაღების გზაზე.

საქართველოს მშრომელებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფისა და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობითა და დახმარებით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ამ წარმატებებს ადგილი აქვს ჩვენს სატყეო მრეწველობაშიც. ამხანაგ ლავრენტი ბერიას მზრუნველობითა და ყოველდღიური დახმარებით საქართველოს სატყეო მრეწველობა გამოვიდა გარღვევიდან და მან კარგად მუშაობა დაიწყო.

თავის მიღწევებს საქართველოს სატყეო მრეწველობა უნდა უმადლოდეს აგრეთვე ტყეში მომუშავე სტახანოველთა და დამკვრელთა მასებს. სატყეო მრეწველობის მუშაკთა კადრები, და მათ შორის სტახანოველები, ყოველწლობით იზრდებიან. ეს ზრდა ხდება უმთავრესად უმაღლეს სწავლამიღებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა ხარჯზე. სატყეო მრეწველობაში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსთა შემადგენლობა 1938 წელს 46 პროცენტით გაიზარდა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებულ იქნა 35 ახალგაზრდა სპეციალისტი, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეწმინდა ჩვენი სატყეო წარმოებანი და მეურნეობები იქ მოკალათებული შეუფერებელი ელემენტებისაგან—ქურდებისა, გამფლანგველებისა, უქნარა და ორგული ადამიანებისაგან.

პარტიისა და ხელისუფლების დავალება ტყის მუშათა მუდმივი კადრის შექმნის შესახებ გასულ წელს 14 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. სტახანოველთა ჯგუფები და ბრიგადები ჩვენს ტყეში ამჟამად ბლომად მოიპოვებიან. ტყის მუდმივ მუშათა საერთო რაოდენობიდან სტახანოველები შეადგენენ მექანიზებული ტრანსპორტის დარგში 50 პროცენტს, საქარხნო - საფაბრიკო წარმოებებში 57,6 პროცენტს და მთლიანად სატყეო მრეწველობაში 49,2 პროცენტს.

ჩვენს სატყეო მრეწველობას დიდი მიღწევები აქვს კადრების მომზადების დარგშიც. კადრების სხვადასხვა სპეციალობათა მიხედვით მომზადების საქმეზე და საერთოდ მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე 1938 წელს დახარჯულ იქნა 1.080.000 მანეთი.

სატყეო მრეწველობის წარმატებითი მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სატყეო ტრანსპორტის მექანიზაციას. ამხანაგი ლავრენტი ბერია საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე, 1937 წლის 15 მაისს ამბობდა:

„თუ წინათ ტყის ექსპლოატაციის დარგში ჩვენ სრულებითაც არ გვქონდა მექანიზმები, 1936 წელს ხე-ტყის მექანიზებული და რაციონალიზებული გამოზიდვა უკვე შეადგენდა 40 პროცენტს. მაგრამ ტყის ექსპლოატაციის მექანიზაცია ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ხოლო არსებულ მექანიზმებს ძალიან ცუდად იყენებენ".

ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენებიდან მოყვანილი ეს ადგილი ამომწურავად ახასიათებს სატყეო მრეწველობის მექანიზაციის მაშინდელ ვითარებას. მას შემდეგ ამხანაგ ბერიას მითითებათა მიხედვით სატყეო მრეწველობის კომისარიატი შეუდგა მექანიზაციის გაძლიერებას და არსებული მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებას. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ავტომანქანების პარკის მნიშვნელოვან გადიდებას, შევიძინეთ 7 ახალი ტრაქტორი, გავიყვანეთ 3,7 კილომეტრი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, ხეთის სატყეო მრეწველობის მეურნეობაში, ამ გზაზე გავუშვით ერთი მოტომზიდავი მანქანა და სხვ. ტრანსპორტის მექანიზაციის გაძლიერების შედეგად მერქნის მექანიზებული ტრანსპორტით გამოზიდვის გეგმა შარშან 100,1 პროცენტით შევასრულეთ, ხოლო შეშის გამოზიდვის გეგმა 86,3 პროცენტით.

მთელ ამ მუშაობასთან ერთად არანაკლები ყურადღება ექცევა მუშათა ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების საქმეს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებებიცაა. მარტო გასული წლის განმავლობაში აგებულია 1431 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართობი, გაუმჯობესებულია მუშათა მომარაგება სპეცტანსაცმელით და ამის შედეგად მიღწეულია, ერთის მხრივ, მუშათა დენადობის აღმოფხვრა და, მეორე მხრივ, საწარმოო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა.

შარშან ხე-ტყის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნა 112,1 პროცენტით, ხოლო გამოზიდვის გეგმა 106,6 პროცენტით. 1939 წლის პირველ კვარტალში კი დამზადების გეგმა შესრულებულია 135,4 პროცენტით, ხოლო გამოზიდვისა—104,1 პროცენტით. ხე-ტყის დამამზადებელი 15 საწარმოდან გეგმები გადაჭარბებით შეასრულა 12 საწარმომ, ხოლო ჩამორჩნენ ჯალაბეთის (სამხრეთ-ოსეთშია) სატყეო მრეწველობის კომბინატი, ჭიათურის სატყეო მეურნეობა და სალხინო-მარტვილის სატყეო მეურნეობა.

საქარხნო-საფაბრიკო საწარმოთა მუშაობა 1938 წელს ასეთ სურათს იძლევა: ფურცლოვანი ფანერის გამომუშავების გეგმა შესრულებულია 114,6 პროცენტით, ნახევარფურცლოვანი ფანერისა 123,7 პროცენტით, დაწებებული ფანერისა 100,8 პროცენტით, დახერხილი მასალისა 99 პროცენტით და ავეჯის გამოშვების გეგმა 88,1 პროცენტით. საშუალოდ გეგმის შესრულება უდრის 103,1 პროცენტს, ხოლო წელს პირველ კვარტალში საქარხნო-საფაბრიკო საწარმოებმა გეგმა 115,3 პროცენტით შეასრულეს, რაც 1938 წელთან შედარებით 14,2 პროცენტით ზრდას გვაძლევს.

ახლა ჩვენს წინაშე მთავარ ამოცანად დგას ტყეების რაციონალური ექსპლოატაცია. ჩვენში არ შეიძლება ვაწარმოოთ ტყის მთლიანი გაკაფვა ისე, როგორც ეს მიღებულია საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთის რაიონების ტყეებში. სატყეო მეურნეობის ინტერესთა თვალსაზრისით ჩვენში საჭიროა მტკიცედ განვახორციელოთ ტყის სამრეწველო-ამორჩევითი ჭრა. უწინ ტყის ჭრას აწარმოებდნენ არა იმ უბნებზე, სადაც ეს მიზანშეწონილი იყო სატყეო მრეწველობის ინტერესთა თვალსაზრისით, არამედ იმ უბნებზე, სადაც უფრო ადვილი იყო მისვლა და იქიდან მოჭრილი ხეების გამოტანა. ასეთი უსისტემობა იწვევდა სატყეო მეურნეობის გაჩანაგებას, მის დაქვეითებას. ტყე-კაფების (ის ადგილები ტყეში, სადაც გაკაფვა სწარმოებს) გაწმენდას, მათ მოვლა-პატრონობას წინა წლებში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია და წესადაა შემოღებული ტყე-კაფების გაწმენდა და ნიადაგის გაფხვიერება. ეს წესები ყველგან, რასაკვირველია, სათანადოდ არ სრულდება და ჩვენი ამოცანაა იგი მტკიცედ და ზუსტად განვახორციელოთ ყველა ტყეში.

საქართველოს ტყეების სამრეწველო ათვისების საქმეში ერთი დიდი დეფექტი გვაქვს. ესაა ტყეების რაციონალური ექსპლოატაციის წინასწარ გამომუშავებული გეგმის უქონლობა. იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ტყეების დამუშავებას აწარმოებენ, წინასწარ არ იციან, თუ მომავალ წლებში რომელ უბნებზე მოუხდებათ მუშაობა და რა ღონისძიებების მიღებაა ამთავითვე საჭირო, რომ ეს მუშაობა სათანადო ეფექტით გაიშალოს. ჩვენი ამოცანაა უახლოეს დროშივე დავამუშაოთ ტყის ექსპლოატაციის გეგმა და მივცეთ ადგილებს სახელმძღვანელოდ.

სატყეო მეურნეობაში ამჟამად ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სატყეო კულტურების გაშენების საქმე. სატყეო კულტურების ანუ ხელოვნური ტყეების გაშენებას საქართველოში დიდიხანია ვაწარმოებთ. 1926 წლიდან 1937 წლამდე საქართველოში გაშენებულია 4,000 ჰექტარი ხელოვნური ტყე, მაგრამ იმის გამო, რომ ამ გაშენებულ ფართობებზე მცენარეების მოვლა-პატრონობა სათანადო სიმაღლეზე არ იყო დაყენებული, დარგული მცენარეების დიდი რაოდენობა დაილუპა. მომავალში სატყეო კულტურების გაშენებაში მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ სწრაფად მზარდი ძვირფასი ჯიშების გაშენებას. ასეთი ჯიშებია: ევკალიპტი, თეთრი აკაცია, კორპის მუხა, კაკალი, ვერხვი და სხვ. 1938 წელს ევკალიპტის დარგვის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ. ნაცვლად 420 ათასი ძირისა, დავრგეთ 437 ათასი ძირი ევკალიპტი. ასევე წარმატებით სრულდება ევკალიპტის დარგვის მიმდინარე წლის გეგმა. ამჟამად ვამზადებთ ნიადაგს იმისთვის, რომ მომავალ წელს მარტო სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით დავრგოთ 600,000 ძირი ევკალიპტი.

თეთრი აკაციის გაშენებას უაღრესად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამთამადნო წარმოებისათვის და მევენახეობისათვის. ახლადგაშენებული აკაციის ტყეები უნდა გადავაქციოთ იმ ბაზად, საიდანაც ყოველწლიურად მივიღებთ სამთამადნო მრეწველობისათვის საჭირო სამაგრ მასალებს და ჭიგოს მარაგს ჩვენი ვენახებისათვის. თეთრი აკაციის ტყე გაშენებულია და შენდება ყარაიას, მახარაძის, ლუქსემბურგის, ქუთაისის და თელავის რაიონებში. საჭიროა მომავალში ამ კულტურების გაშენებას ხელი მოჰკიდონ კოლმეურნეობებმა და განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებმა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენი სატყეო მეურნეობის დაცვას. ტყეს, როგორც ცნობილია, მრავალი მტერი ჰყავს. მათ შორის მთავარია ხანძარი, მავნებელი მწერები, ხის სოკოები, საქონელი, რომელიც ტყეში საძოვრად გადის და ზოგჯერ... ადამიანიც. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ყველა ზომას ღებულობს ტყეების დასაცავად, მაგრამ მარტო კომისარიატი ვერაფერს გააწყობს, თუ მას მოსახლეობა არ დაეხმარა. რა არის ამ მხრივ მთავარი? მთავარია მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლა ტყის მნიშვნელობაზე, წინასწარი პროფილაქტიკური ღონისძიებების გაცნობა მოსახლეობისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ტყეში ხანძრის გაჩენის შემთხვევები და ამავე დროს, საჭიროა პრაქტიკული ბრძოლა ტყის მავნებელ მწერებთან და ხის სოკოთი დაავადებასთან. უნდა განვუმარტოთ მოსახლეობას, რომ საზარალო და დაუშვებელია საქონლის ტყეში გარეკვა საძოვრად, რომ არ შეიძლება ტყის თვითნებურად გაჩეხვა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო სასამართლოების, რაიაღმასკომების და სასოფლო-საბჭოების მოქნილ მუშაობას.

კიდევ მრავალი და მეტად მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული ჩვენი სატყეო მეურნეობის და განსაკუთრებით სატყეო მრეწველობის წინაშე.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერება, სტახანოვური მეთოდებით მუშაობის მასობრივად დანერგვა, მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა საამქროს, უბნისა და ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტის ჩაბმა, ჩამორჩენილი სატყეო მეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა, საჭაპანო და მექანიკური ტრანსპორტის გადიდება, საავტომობილო გზების გაყვანა ტყის საექსპლოატაციო უბნებში და მრავალი სხვა.

თვითეულმა საწარმომ, სატყეო მეურნეობის თვითეულმა უბანმა უნდა იბრძოლოს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიული XVIII ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციისათვის.

ასეთია ჩვენი სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის ამოცანა.

ჩეხოსლოვაკიის ოქროს მარაგის გერმანიისათვის გადაცემის საკითხის გამო

ლონდონი, 27 მაისი (საქდესი). გუშინ თემთა პალატის სხდომაზე ოპოზიცია და მთელი რიგი კონსერვატორები მკვეთრად გამოვიდნენ მთავრობის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ბანკს გადაეცეს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ბანკის კუთვნილი ოქროს ნაწილი. გუშინ უკვე ვიუწყებოდით, რომ მთავრობის პოზიციის კრიტიკით ამ საკითხში გამოვიდნენ ლოიდ ჯორჯი, სინკლერი, პეტიკ-ლოურენსი და სხვები. უფრო დაწვრილებითი ცნობების მიხედვით, ლოიდ ჯორჯმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ, როდესაც ინგლისის ბანკი ატარებს გარკვეულ ხაზს, რომელიც პირველი შეხედვით ეწინააღმდეგება გარეშე პოლიტიკას, მაშინ არავინ არ დაიჯერებს, რომ ეს ხაზი ინგლისის მთავრობის ხაზი არაა. ინგლისის ბანკი, იმდენად, რამდენადაც ეს პოლიტიკას შეეხება, ნაციონალურ დაწესებულებას წარმოადგენს. საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ მთავრობას განზრახვა აქვს სცნოს გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა, ასეთი პოლიტიკით იგი ხელს ვერ შეუწყობს საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. გერმანიის ბანკისათვის გადაცემა 6 მილიონი გირვანქა სტერლინგის, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კუთვნილებას შეადგენს, მნიშვნელოვანი ნაბიჯია გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის ცნობისაკენ (თუმცა ჯერ მხოლოდ ინგლისის ბანკის დირექტორის ნორმანის მიერ), მაგრამ საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ის, რომ ფინანსთა სამინისტრო ამას დასთანხმდა. ასეთი თანხმობა კი მხოლოდ უპატიოსნო მეთოდია ცნობისა.

ლეიბორისტმა პეტიკ-ლოურენსმა აღნიშნა, რომ ნორმანი და ნიმეიერი წარმოადგენენ ინგლისს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკში.

როგორი იყო, კითხულობს პეტიკ-ლოურენსი, — ინგლისის წარმომადგენლების აზრი რაიხსბანკისათვის ჩეხოსლოვაკიის ოქროს გადაცემის საკითხზე. რაიხსბანკისათვის ჩეხოსლოვაკიის ოქროს გადაცემა იგივე ცნობაა ინგლისის მთავრობის მხრივ, სულ ცოტა, გერმანიის კონტროლისა მაინც ჩეხოსლოვაკიაზე.

კონსერვატორმა ბუტბიმ განაცხადა, რომ თუ საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი არსებობს მხოლოდ იმისათვის, რომ ფაშისტურ ქვეყნებს გადასცეს დემოკრატიული ქვეყნების კუთვნილი ფული, მაშინ უკეთესი იქნებოდა ეს ბანკი სრულიად გაუქმებულიყო და გამოწვეულ ყოფილიყვნენ იქიდან ინგლისის წარმომადგენლები.

კონსერვატორმა ბრუკმა ღრმა უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ინგლისის წარმომადგენლებმა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკში საჭიროდ დაინახეს ეცნობებიათ ფინანსთა სამინისტროსათვის ამ ბანკის განზრახვა, რათა ჩეხოსლოვაკიის ოქრო გადასცეს მათ, ვინც ჩეხოსლოვაკია გაძარცვა.

ზოგიერთი პოლიტიკური მიმომხილველის ცნობების მიხედვით, მთავრობის პოზიციამ გერმანიისათვის ჩეხოსლოვაკიის ოქროს გადაცემის საკითხში, ღრმა აღშფოთება გამოიწვია პარლამენტის კონსერვატორ დეპუტატთა დიდ ჯგუფში. პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ჩეხოსლოვაკიის ოქრო ჯერ კიდევ ლონდონშია.

როგორც გაზეთ „დეილი ჰერალდის" ფინანსიური მიმომხილველი იტყობინება, სიტში ბევრი დარწმუნებულია, რომ ოქრო, რომელზედაც ლაპარაკია, ჯერ კიდევ ინგლისის ბანკის სეიფებში იმყოფება. უკეთებს რა კომენტარს გუშინდელ კამათს თემთა პალატაში, მიმომხილველი აღნიშნავს, რომ საიმონმა თითქმის სრულებით არ სცადა დაეცვა ნორმანი. შეხვდა რა ძლიერ ოპოზიციას, საიმონი იძულებული შეიქმნა დაპირებოდა თემთა პალატას, რომ ამ საკითხს გადასინჯავს იმ მხრივ, რათა შეეცადოს შეაჩეროს გერმანიისათვის ოქროს გადაცემა.

„მსოფლიოს დანაწილება" იტალიისა და გერმანიის მიერ

პარიზი, 27 მაისი (საქდესი). ტაბუი გაზეთ „ევრში" სწერს იმ საიდუმლო ოქმის შინაარსის შესახებ, რომელიც თან ახლავს იტალია-გერმანიის ხელშეკრულებას სამხედრო პოლიტიკური კავშირის შესახებ. ტაბუის სიტყვით, ოქმი თითქოს ითვალისწინებს მსოფლიოს ნამდვილ გაყოფას გერმანიასა და იტალიას შორის. „საზღვარგარეთელი მეთვალყურენი ბერლინში ამტკიცებენ, — სწერს ტაბუი, — რომ ამ ოქმით ვითომ იტალია თავისი ექსპანსიის ზონის სახით მიიღებს სამხრეთ-დასავლეთ ევროპას და ესპანეთს, როგორც დამხმარე სახელმწიფოს. გერმანია სცნობს იტალიის ინტერესებს აგრეთვე ბალკანეთის ევროპის დასავლეთ ნაწილსა და მცირე აზიაში. და ამასთანავე სცნობს, რომ იქაური ქვეყნები, ალბანეთისა თუ აბისინიის მაგალითისამებრ, შეიძლება გახდეს იტალიის პროტექტორატის ქვეყნები ან იტალიის სამანდატო ტერიტორია. ანალოგიური ფრაზა, იტალიისათვის, დაპირებებით აღსავსე თითქოს ჩრდილოეთ აფრიკის მიმართაც არსებობს ოქმში. გერმანია თავის მხრივ „დაკმაყოფილებული" იქნება დასაყრდენი სტრატეგიული, საზღვაო და საჰაერო ბაზებით გერმანიის წინანდელი ახალშენების ფარგალში, რომელთა ნაწილიც იტალიას დაეთმობა. გერმანია შემდეგ, მიიღებს უპირატეს უფლე'იბს უნგრეთსა და რუმინეთზე, მიიღებს პროტექტორატს ბულგარეთზე, რომელიც უნდა შეუერთდეს „რომი - ბერლინის ღერძს" დამხმარე სახელმწიფოს სახით, რათა ჰბატონობდეს შავ ზღვასა და დარდანელზე და, დასასრულ მიიღებს ნავსადგურს ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ამას გარდა, გერმანია უფლებას იტოვებს შეიერთოს ის ტერიტორიები, რომლებიც მას ჰქონდა 1914 წ. აგვისტოში და რომლებიც ამჟამად საფრანგეთსა და პოლონეთს ეკუთვნის, უფლებას იტოვებს აგრეთვე ჰოლანდიის ინდოეთისა და ინგლისის ინდოეთის ნაწილის მფლობელობაზე.

დასასრულ, მუსოლინი ამ ოქმში ვითომ პირობას იძლევა დაუბრუნოს გერმანიას სამხრეთი ტიროლი მაშინვე, როგორც კი იტალია ამა თუ იმ საშუალებით სავოიას მიიღებს".

მდგომარეობა დანციგში

ლონდონი, 26 მაისი (საქდესი). მდგომარეობა დანციგში თანდათან უფრო დაძაბული ხდება. გაზეთ „დეილი მეილის" ცნობით, დანციგის ფაშისტთა ხელმძღვანელმა ფორსტერმა ბერლინიდან ჩამოიტანა ახალი ინსტრუქციები, რომლებიც განკარგულებას იძლევა დაწყებულ იქნას კამპანია გერმანიასთან დანციგის შეერთებისათვის

გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" ამტკიცებს, რომ კლოდოვოში მომხდარი ინციდენტი (გერმანელ ფაშისტთა თავდასხმა პოლონეთის საბაჟოს მუშაკებზე) პროვოცირებულ იქნა გერმანელ ფაშისტთა მიერ იმ მიზნით, რომ თავიდან მოიცილონ პოლონეთის სანაპირო დაცვა და ამნაირად შესაძლებლობა მოიპოვონ უკონტროლოდ ჰგზავნონ აღმოსავლეთ პრუსიიდან დანციგში იარაღი და სამხედრო საჭურველი. გაზეთი აღნიშნავს, რომ, როგორც კი ინციდენტი მოხდა კლოდოვოში, აღმოსავლეთ პრუსიიდან მაშინვე გაიგზავნა დანციგში დიდძალი სამხედრო საჭურველი. ამავე დროს დანციგში გერმანელი ფაშისტები სასწრაფოდ ატარებენ ახალგაზრდობის სამხედრო სწავლებას.

ფაშისტური ტერორი ესპანეთში

პარიზი, 26 მაისი (საქდესი). ამ დღეებში ფაშისტურმა ხელისუფლებამ ალიკანტეში დახვრიტა 9 ესპანელი რესპუბლიკელი, რომელთაც ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი „გამოჩენილი უკიდურესი მოღვაწენი" იყვნენ.

გერმანია-იტალიის თანამშრომლობა

ლონდონი, 26 მაისი (საქდესი). გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალთა გენერალური ინსპექტორი გენერალი მილხი რამდენიმე ექსპერტის თანხლებით იტალიაში ჩავიდა იტალია-გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ხელშეკრულების დეტალების განსახილველად. „გერმანიის შრომის ფრონტის" ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლეი აგრეთვე მალე ჩავა იტალიაში. ხელშეკრულება გერმანიასა და იტალიას შორის შევსებულ იქნება მთელი რიგი ოქმებით სამხედრო და ეკონომიური კონსულტაციის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ ყოველივე ამის შედეგად გერმანიის გავლენა იტალიაზე კიდევ უფრო გაძლიერდება.

ტურინის გაზეთი „სტამპა" დღეს პირველ გვერდზე აქვეყნებს ევროპის, აფრიკისა და ოკეანიის რუკებს სათაურით: „კვანძები, რომლებიც უნდა გაიჭრას". ამ კვანძებს, რომლებიც რუკაზე ისრებით არის აღნიშნული, წარმოადგენს: ახალი გვინეა, ტანგანაიკა, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, ტოგო, კამერუნი, ტუნისი, სუეცი და ჯიბუტი.

ფრონტზე ჩასული ჩინელი ქალიშვილები იწერენ მებრძოლთა მისამართებს მათი ოჯახებისათვის წერილების გადასაცემად.
საქდესის ფოტოქრონიკა

მწერალ ერნსტ ტოლერის თვითმკვლელობა

ნიუ-იორკი, 26 მაისი (საქდესი). 22 მაისს თავი მოიკლა ცნობილმა გერმანელმა ანტიფაშისტმა მწერალმა ერნსტ ტოლერმა. ტოლერის დაკრძალვა 27 მაისს მოხდება. ამერიკელ მწერალთა ლიგამ, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა მთელმა რიგმა ამერიკულმა და გერმანულმა ორგანიზაციებმა თავიანთი წარმომადგენლები გამოჰყვეს ტოლერის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. ამერიკის გაზეთები ტოლერის სიკვდილს მრავალ სტატიას უძღვნიან, რომლებშიც აღნიშნულია, რომ გერმანიაში ფაშისტთა დევნამ გერმანიის კულტურის მრავალი დიდი ადამიანის ცხოვრება დაანგრია და დაასახიჩრა.

იუწყებიან, რომ ტოლერის მდივანმა, რომელიც მასთან 22 მაისს მივიდა, ნახა, რომ ტოლერს თავი ჩამოეხრჩო სააბაზანოში. ტოლერის მეგობრებმა ამას წინათ განაცხადეს, რომ უკანასკნელ ხანს ის საშინლად გულგატეხილი იყო, განსაკუთრებით გერმანიიდან ლტოლვილ ანტიფაშისტთა ბედთან დაკავშირებით. სიკვდილის წინ რამდენიმე დღით ადრე ტოლერი ფონდს აგროვებდა ფაშისტური ესპანეთის საპყრობილეებში დამწყვდეულ გერმანელ ანტიფაშისტთა დასახმარებლად

○

ერნსტ ტოლერი დაიბადა 1893 წლის 1 დეკემბერს. 1914 წელში მოხალისედ მსახურობდა გერმანიის არმიაში. ფრონტზე მძიმედ დაიჭრა. შემდეგ მიემხრო ომისსაწინააღმდეგო სტუდენტურ მოძრაობას ჰეიდელბერგში. გერმანიის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ იყო ბავარიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე და რესპუბლიკური არმიის ხელმძღვანელი.

როგორც კი ჰიტლერი ჩადგა ხელისუფლების სათავეში, ტოლერმა გერმანია დასტოვა; მას წაერთვა გერმანიის მოქალაქეობა. 1933 წლიდან 1936 წლამდე ცხოვრობდა ლონდონში, 1936 წლიდან — ნიუ-იორკში.

ტოლერი მთელ რიგ ნაწარმოებთა ავტორია: „მე გერმანიელი ვიყავი" (ავტობიოგრაფია), „წერილი საპყრობილედან", „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", „ადამიანი და მასები" და სხვ.

იაპონელები ცდილობენ კონტინენტს მოსწყვიტონ გულანსუ

ტოკიო, 26 მაისი (საქდესი). იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ გადასწყვიტა, 25 მაისიდან გასწყვიტოს კუნძულ გულანსუს კავშირი ბატერიკთან, თითქოს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ანტიიაპონური ელემენტების კუნძულზე შესვლას. კუნძულთან მიუშვებენ მხოლოდ იმ გემებს, რომლებსაც იაპონიის სარდლობის სპეციალური ნებართვა ექნება.

მოკლე ცნობები

(საქდესის 26 მაისის დეპეშათა მიხედვით)

★ ბრაზილიის პოლიცია მოულოდნელად გამოცხადდა გერმანული ორგანიზაციების სადგომში პარანის შტატში და ხელთ იგდო საწყობი ფაშისტური ლიტერატურისა, რომელიც მოუწოდებდა გერმანელ მოსახლეობას გაეჩაღებინა ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის წინააღმდეგ. დაპატიმრებულია გერმანელი სათადარიგო ოფიცერი, რომელსაც ჰბრალდება „მნიშვნელოვანი მამხილებელი დოკუმენტების" შენახვა.

○

★ ბუენოს-აირესში (არგენტინა) გაიმართა სტუდენტთა 80-ათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია გერმანიის აგენტების შეთქმულობის წინააღმდეგ. ამ შეთქმულობას მიზნად ჰქონდა პატაგონიის ჩამოშორება.

○

★ იელის (ამერიკის შეერთებული შტატები) უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ეჯერტონმა უარი განაცხადა ბავარიის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის სახელწოდებაზე ნიშნად პროტესტისა გერმანიის აკადემიებიდან „არაარიელ" მეცნიერთა განდევნის წინააღმდეგ.

○

★ კუბის მთავრობამ იცნო გენერალი ფრანკო.



სოხუმი. სპორტსაზოგადოება „დინამოს" წყალჯომარდობის სადგური.
საქდესის ფოტოქრონიკა

საგზაო მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

უკრაინის სსრ და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოებთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოების სისტემის მუშაკთა შორის მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, ამ დღეებში თბილისში მოწვეული იყო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს სისტემის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირს დაესწრნენ საგზაო - საექსპლოატაციო უბნებისა და რაისაგზაო განყოფილებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირმა მოისმინა მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსის ამხ. **ა. ცაგურიას** მოხსენება საგზაო სამუშაოების გეგმების შესრულების მდგომარეობისა და უკრაინასთან დადებული ხელშეკრულების შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 32 კაცმა.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათიდან გამოირკვა, რომ საგზაო სამუშაოთა გეგმების შესრულების მხრივ რესპუბლიკაში მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. რაიონებისა და საექსპლოატაციო უბნების ნახევარს შეუსრულებელი აქვს პირველი კვარტალის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობისა და საგზაო სამუშაოების გეგმები.

ამხ. ცაგურიამ ამ გარემოებაზე გაამახვილა დამსწრეთა ყურადღება და, ილაპარაკა რა მოძმე უკრაინის საგზაო მუშაკებთან დადებული ხელშეკრულების უდიდეს პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობაზე, ძირეულ საგზაო ორგანოებს მოუწოდა გააძლიერონ ბრძოლა საგზაო მშენებლობის დარგში სახელმწიფო დავალებათა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

თათბირს დაესწრო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. სტურუა**, რომელიც ვრცელი სიტყვით გამოვიდა.

შეეხო რა უკრაინასთან ხელშეკრულების დადებას, ამხ. სტურუამ სთქვა, რომ სოცშეჯიბრების ხელშეკრულება მოძმე უკრაინის რესპუბლიკასთან ავალებს ჩვენს საგზაო მუშაკებს გააცხოველონ მუშაობა და მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომები, რათა ამ საქმეში საქართველოს რესპუბლიკა სასახელოდ გამოვიდეს.

თათბირზე გამოსულმა რაიონებისა და საექსპლოატაციო უბნების წარმომადგენლებმა ერთსულოვნად მოიწონეს უკრაინასთან ხელშეკრულების დადება, ერთმანეთი შეჯიბრებაში გამოიწვიეს და აღუთქვეს პარტიასა და მთავრობას, რომ მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნით უზრუნველჰყოფენ საგზაო დავალებათა წარმატებით შესრულებას და მოძმე უკრაინასთან შეჯიბრების წარჩინებით დამთავრებას.

ამის უზრუნველსაყოფად თათბირმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

ცალკე რაიონებსა და საექსპლოატაციო უბნებს შორის გაშლილი შეჯიბრების სტიმულირების მიზნით თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა დაწესებულ იქნას მთავარი საგზაო სამმართველოსა და გზატკეცილთა მშენებლობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი დროშა—რაისაგზაო განყოფილებათა და საგზაო-საექსპლოატაციო უბნებისათვის სათანადო ფულად ჯილდოებთან ერთად. რაისაგზაო განყოფილებებისათვის დაწესებული დროშის მინიჭება მოხდება წლის ბოლოს, წლიური გეგმის შესრულების მიხედვით, ხოლო საექსპლოატაციო უბნებისათვის — ყოველკვარტალურად. თათბირმა ამასთან დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე, რათა დაწესებულ იქნას „საქართველოს წარჩინებული საგზაო მუშაკის" სახელწოდება, მკერდზე სატარებელი სათანადო ნიშნით.

სოცშეჯიბრებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად არჩეულ იქნა რესპუბლიკური ჟიური მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსის ამხ. ა. ცაგურიას თავმჯდომარეობით.

ყრუ-მუნჯი ტურისტები თბილისში

25 მაისს თბილისში ჩამოვიდნენ ხარკოვის ყრუ-მუნჯი ტურისტები 30 კაცის შემადგენლობით.

ჯგუფში შედიან ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ხარკოვის საწარმოების საუკეთესო სტახანოველები. ტურისტებმა გზად გამოიარეს ბაქოში, სადაც დაათვალიერეს ბაქოს სარეწაოები და ის შესანიშნავი ადგილები, სადაც წარსულში რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა დიდი სტალინი. ტურისტებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, მუზეუმები, ბოლშევიკური ორგანიზაციის ავლაბრის ყოფ. არალეგალური სტამბა, პარკები და სხვ.

26 მაისს სტუმრების პატივსაცემად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალურ კლუბში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა მოძმე რესპუბლიკების ყრუ-მუნჯ სტახანოველებთან.

დღეს, სტუმრები მიემგზავრებიან დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სამშობლო ქ. გორში და შემდეგ ბათუმში. ყრუ-მუნჯი სტუმრები საქართველოში ათ დღეს დაჰყოფენ.

მწერლები ბელადის სამშობლოში

ამ მოკლე დროში ქართველ საბჭოთა მწერლების ინიციატივით გამოიცემა კრებული—„გორი".

ამასთან დაკავშირებით ხალხთა დიდი ბელადის საყვარელი სტალინის სამშობლოს მშრომელებთან შესახვედრად დღეს ქ. გორში გაემგზავრა ქართველ მწერალთა აქტივი 40 კაცის შემადგენლობით. მწერლები გორში დარჩებიან ორ დღეს, დაათვალიერებენ ყველა იმ ადგილს, სადაც გაატარა თავისი ბავშვობა და ყრმობა მშობლიურმა სტალინმა, ჩაატარებენ საუბრებს გორის მშრომელებთან და გამართავენ დიდ ლიტერატურულ საღამოს.

კინონარკვევი სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

საქკინსტუდიის ახალგაზრდა რეჟისორები შ. მართაშვილი და ა. შატროვი იღებენ კინონარკვევს, რომელშიც ნაჩვენები იქნება საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის განვითარების დონე, საქართველოს კურორტები, ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციები და სხვ.

ფილმს აჩვენებენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

28 მაისს: ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტი—ამხ. იმედაძის ლექცია თემაზე: ინტელიგენციის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტი—ამხ. გულნიანის ლექცია თემაზე: კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიური კრიზისების შესახებ. სომხურ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი—ამხ. თავხელიძის ლექცია თემაზე: მშრომელთა კომუნისტური აღზრდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს იროდიონ მალხაზის-ძე შონიას და ივანე ვასილის-ძე კორსაკოვს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. გევორქიანთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული, ოთახი 14).

შემთხვევები

გაუფრთხილებლობის მსხვერპლნი. ლენინის ქუჩისა და ელბაქიძის დაღმართის კუთხეში, მიმავალი ტრამვაიდან ჩამოსვლის ცდის დროს მიმავალ ვაგონქვეშ მოჰყვა ამბროლაურის რაიონიდან ჩამოსული მოქ. თ. გ. გიორგობიანი. ბორბლებმა მას ფეხი გადასჭრა. დაზარალებული მოთავსებულია საავადმყოფოში.

მიმავალი ტრამვაიდან ჩამოხტომის ცდის დროს ვაგონქვეშ მოჰყვა 12 წლის ბიჭი გ. ანთელაძე (მცხ. ქ. ცეტკინის ქ. № 4). ბორბლებმა მას ხელი გადასჭრა. ანთელაძე საავადმყოფოში მოათავსეს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

28/V წარმოდგენა 198	29/V წარმოდგენა 199	30/V წარმოდგენა 200
მთაგრეხილზე	ანზორ	მთაგრეხილზე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

28/V	ლები ქერარ
29/V	მათი ამბავი
30/V	დღისით ლები ქერარ დასაწყ. დღის 12 ს.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
მოზარდები 16 წლამდე არ დაიშვებიან.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

28/V	მუდმ. ადგ. ტალ. № 178 ქეთო და კოტე
29/V	მუდმ. ადგ. ტალ № 179 აბ. სერ. № 2 მეფის საცოლე
30/V	მუდმ. ადგ. ტალ. № 180 დაისი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის
(საშუალო სკოლების ახლად კურსდამთავრებულთათვის)
მასალის გამეორების მიზნით იხსნება
ახალი ჯგუფი
პირობების გაგება ყოველდღე სალ. 7 საათიდან 11 საათამდე.
მისამართი: კალინინის ქ. № 51, რკინიგზის მე-5 სკოლა, მე-3 სართული.
1941

თანახმად თბილსაბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის აპრილის 26-ის დადგენილებისა (ოქმი № 9 § 1), ხდება საზოგადოება

„სომხგაერთიანების" ლიკვიდაცია

ყველა ორგანიზაციამ და პირმა, ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს „სომხგაერთიანებისადმი", უნდა წარუდგინოს ეს პრეტენზიები არა უგვიანეს ა. წ. ივნისის 15-სა ლიკვიდკომს შემდეგი მისამართით: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 2, „სომხგაერთიანების" ლიკვიდკომი საქ. სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის სასწავლო-საწარმოო კომბინატთან.
168 „სომხგაერთიანების" ლიკვიდკომი.

29 და 30 მაისს
მუდმ. ადგ. ტალონი № 1—2
საზაფხულო სეზონის
გახსნა
ლია ესტრადა
ესტრადის საღამო
ესტრადის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.
შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
დასაწყისი სალ. 10 საათზე.
დაწვრილებით აფიშებში.

სახესტრადა
პლეხანოვის, 123. ტელეფ. 3-18-50
საზაფხულო თეატრი
მუდმ. ადგ. ტალ. № 1, 2
სსრკ ხალხური ცეკვის ანსამბლის გასტროლები
სამხატვრო ხელმძღვ. ორდენოსანი
იგორ მოისეევი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები ბაღის სალაროში.

ესტრადის დახურული თეატრი
სახესტრადის ვოდევილის თეატრის წარმოდგენა.
1. ბუხარული ხალათი
2. მოტაცება მინდორდა
რეჟ. მანაგაძე
დასაწყისი სალ. 9 საათზე
შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში ხასული ორკესტრი
ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

დამწუხრებული მეუღლე მინადორა, შვილი ოთარ იუწყებიან, რომ 30/V, 7 ს. ახალ გაგრაში დანიშნულია ძვირფას
ესტატე ბიტუას-ძე ლოლუას
სამოქალაქო პანაშვიდი. 1891

მეუღლე ვალერიან გიორგის-ძე კობახიძე იუწყება, რომ 30/V, 5 ს. ს. ხეთაში (ხობის რ.) სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ბუცია კობახიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 175

დამწუხრებული მეუღლე ელენე, შვილი ენვერი იუწყებიან, რომ 30/V, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
რუპერტ (რუბენ) იბრაგიმის-ძე სურმანიძის
სამოქ. პანაშვიდი. 1929

მშობლები იოსებ და ლუბა ოსეფაშვილები შვილით იზათი იუწყებიან
საყვარელ პატარა ადულიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/V, 5 ს. გამოსვენება ლენინის, 54.
1963

ცოლი ს. მ. კოჩარიანი შვილებით მ. ა. და ლ. ა. იუწყება
არშაკ მიხეილის-ძე კოჩარიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/V, 5 ს. ამოს, 3. კუკიის სასაფლაოზე.
1955

ნ. და ვ. მახალდიანები, კ. როგავა, მ. და შ. თაბორიძეები და ნ. ბიჭაშვილი იუწყებიან, რომ 30/V, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი დედის
ნინო გიორგის-ასულ მახალდიანის
სამოქ. პანაშვიდი. 1944

მეუღლე გიორგი პროკოფის-ძე ჩიქვინიძე, შვილი ლამარა, დედა ფატუა, მამა ალექსანდრე, და თინა, ბიძაშვილი ანტონ კელენჯერიძეები იუწყებიან, რომ 30/V, ბაღდათში დანიშნულია უსაყვარლეს
ქეთო კელენჯერიძე-ჩიქვინიძის
სამოქალაქო პანაშვიდი.

დამწუხრებული მშობლები პოლისკა, ანთიმოზ დეკანოსიძეები შვილებით მანოველით და ვარვარათი იუწყებიან
აფრასიონ დეკანოსიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/V, 1 ს. მიხეილის საავადმყოფოში. გასვენება იმავე დღეს 4 ს. ვაკეში. 1956

ოლია და მიზანა ჭონიელიძეები შვილებით შალვათი, გრიგოლით, გიორგით, თამარით და ალექსანდრეთი იუწყებიან სიძის
მირიან ბეჟანის-ძე დოლიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 29/V, 5 ს. მალაკის, 42. 1945

დამწუხრებული შვილები ვალიკო, აკაკი, ვასო, დათიკო, რძლები კლავა, ნადია, ეენია, სირუნიკ, შვილიშვილები იუწყებიან მამის
იულო ფირანის-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/V, ჩოხატაურში. 1946

ეკატერინე ყიფშიძე შვილებით და სიძეებით იუწყება, რომ 30/V, 7 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ზაქარია თევდორეს-ძე ყიფშიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 1950

მეუღლე გიორგი თარალაშვილი, მშობლები ვიქტორ და გოგუცა გიორგაძეები მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
ოლიმპიადა (ჩიტო) გიორგაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28/V, 5 ს. ართვინის, 20. კუკიის სასაფლაოზე. 1960

დედა ედუკი, და მარიამ ცაგარელი ქმრით მიხეილით და შვილებით იუწყებიან, რომ 30/V, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფას
ექიმ გიორგი ალექსის-ძე მიქელაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 1947

მეუღლე ნინო ტყემალაძისა შვილებით მათიკოთი და ირინათი, შვილიშვილებით აპოლონით და ნინიკოთი იუწყება, რომ 30/V, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ექიმ აპოლონ ლუკას-ძე ტყემალაძის
სამოქ. პანაშვიდი. 1951

დამწუხრებული მამა კარლო მოსწრაფიშვილი, დედა თამარ მახარაძე, ბაბო ნინო, დეიდა სონა იუწყებიან
პატარა ვახტანგის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 30/V, 2 ს. არსენალის შესახ, 18. 1952

დამწუხრებული მშობლები ბაბუცა, გუგული რატიანები, თეო, ივანე, ცუცა რატიანები იუწყებიან, რომ 30/V, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
გოგიკო გუგულის-ძე რატიანის
სამოქალაქო პანაშვიდი. 1953

დამწუხრებული მეუღლე კესარია, შვილები ვანიჩკა, ანდრუშა, იულია, მარგალიტა, რძლები, სიძეები ე. ჭიჭინაძე, შ. მამაცაშვილი იუწყებიან
ირაკლი ოტიას-ძე ხატელიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ჭორვილაში, 30/V. 1954

დამწუხრებულნი დედა დარიკო, ძმა გალოდია, მეუღლე ალექსანდრე ჩიოვინაძე, ბიძა სარდალ ჩაჩანიძე მეუღლით იუწყებიან
ნინო თეოფილეს-ასულ დავლიანიძე-ჩილვინაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/V, 3 ს. კონტუატის, 30. (ლენრაიონი).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი: ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული 671